მე ჩანგური მისთვის მიმღია, რომ სიმართლეს მსახურებდეს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
კვირა 14 დეკემბერი
№ 287 (17929)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი გ. თოთიბაძე.

ადამიანის საკეთილდღეოდ!

ჩვენი ხალხის შთაგონებული შემართების, პარტიის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის, მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის ენერგიული შრომის შედეგი თვალნათლივ მოწმობს ლენინური პარტიის დიადი საქმისადმი ფართო მასების გულწრფელ ერთგულებას, მისადმი დიდ რწმენას. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ნაყოფიერი შრომის იმ მაღალი შეფასებით, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსადმი მიმართა ამ. ლ. ი. ბრეჟნევის მოსალოც წერილშია გამოხატული. ამ შეფასებას ჩვენი ხალხი ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით უპასუხებს, ამრავლებს ცდასა და მონდომებას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის.

შემოქმედებითი შრომის, სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღების ვითარებაში მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ — საერთო-სახალხო განხილვა. ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში დასახულია ჩვენი შემდგომი წინსვლის ახალი, ძლელი, მაგრამ სრულიად რეალური მიჯნები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ქვეყნის უდიდესი მიღწევები ეკონომიკის, სოციალური ცხოვრების სულიერი კულტურის სფეროში.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკული მუშაობის ცენტრში პარტია აყენებს ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ამოცანას. და ყოველივე ეს ფრთას ისხამს ხუთწლედების დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, მეათე ხუთწლედში ბევრი რამ გაკეთდა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, სოციალური ამოცანების გადაწყვეტის გზაზე. უფრო სრულად კმაყოფილდებოდა საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, უმჯობესდებოდა მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 17 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი გადიდდა 15 პროცენტით და მეტად, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობისაგან — 26 პროცენტით.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში?

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გაიზარდა 25,3 პროცენტით, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი — 22 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება — 51 პროცენტით. და შემდეგ: საყონელბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გადიდდა 27,7 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა — 56,7 პროცენტით.

ჩვენს ქვეყანაში მთლიანად განვლილი ხუთწლედის შედეგები მოწმობს, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მიმართულებით საბჭოთამ მძლავრი ნაბიჯები გადადგა. ერთი სიტყვით, მეათე ხუთწლედი ღირსეულ ადგილს დაიკავებს საბჭოთა ხალხის მგზარულ საქმეთა ისტორიაში. ჩვენი ქვეყნის ხალხები ოთხმოცდაერთ წლებს იწყებენ იმ პირობებში, როცა მათს განკარგულებაშია მძლავრი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, მაღალკვალიფიციური პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო კადრები. ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში მიღწეული მიჯნები საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ კიდევ უფრო მასშტაბური ამოცანები, რომლებიც თვალნათლივ წარმოადგენს ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დონეს.

„ძირითადი მიმართულებების“ პროექტში მოყვანილი მეტყველი ციფრები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ უდიდეს პერსპექტივებზე, რომლებიც ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის არის გათვალისწინებული. აი ისინიც: მეთერთმეტე ხუთწლედში ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი გაიზრდება 16-18 პროცენტით. მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი გადიდდება 13-16 პროცენტით და ხუთწლედის დამლევამდე მათი დონე გაიზრდება თვეში 190-195 მანეთამდე. საზოგადოებრივი მეურნეობისაგან მიღებული კოლმეურნეთა შემოსავალი გადიდდება 20-22 პროცენტით. გარდა ამისა, გაძლიერდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებისა და შეღავათების როლი, რომლებიც ხუთწლედის მანძილზე 20 პროცენტით გადიდდება. ხუთწლედში დასახულია აშენდეს 530-540 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი ბინები. პროექტში აგრეთვე დასახულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანებს შეუქმნან შრომისა და დასვენების, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის, ოჯახის განმტკიცების, ბავშვების აღზრდის ხელშეწყობი პირობები. მეტი უპირატესობა და შეღავათები მიეცემა ბავშვიან ოჯახებს და მომუშავე დედებს, კიდევ უფრო განვითარდება სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, საყოფაცხოვრებო მომსახურება. დიდი პერსპექტივებია საკურორტო მშენებლობის, ტურისტული ბაზების განვითარების, ხალხის დასვენების უკეთ ორგანიზაციისათვის. შავი ზღვის ნაპირსამაგრებელი სამუშაოების შესრულებით უზრუნველყოფილი იქნება ნიადაგის დაცვა, პლაჟების კიდევ უფრო კეთილმოწყობა და სხვა.

პარტია, საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობენ საურსათო პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას, მშრომელთა კეთილდღეობის კიდევ უფრო ამაღლებას. ამაზე უაღრესად ნათელი საპროგრამო მითითებებია მოცემული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1980 წ.) პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში. ჩვენს რესპუბლიკაში სწორედ ამ სახეცვლილ მნიშვნელობის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად ახლახან გიორგი სახურსათო პრობლემის შემუშავებული რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომა. მან უაღრესად საჭირო და საინტერესო რეკომენდაციები შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მითითებათა შესრულებისათვის, საქართველოში სახურსათო პრობლემის წარმატებით გადაწყვეტისათვის.

საერთოდ მთელი მეთერთმეტე ხუთწლედი და, კერძოდ, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამიდან გამომდინარე ამოცანები, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა უნდა გადაწყვიტონ, უაღრესად პასუხსაგები, საპატიო, ნამდვილი საბრძოლო და შემოქმედებითად სამოღვაწეო ასპარეზია. სწორედ ამ დიდ შემოქმედებითს შრომაში გამოჩნდება იმათი კეთილი საქმეები, ვინ სთვისაც ძვირფასია სამშობლოს ძლიერება, პარტიის, ხალხის ინტერესები, ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ენერგიული მუშაობის შედეგად შექმნილი ჯანსაღი ატმოსფერო, ის სახიკეთო მძლავრი მდინარება, რომლის მიზანია პარტიული, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრა.

ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია ადამიანის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასთან, ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს. პარტიის დიდ წინასწარდასახულობათა ხორცშესხმის მიზნით ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის. სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რომ თითოეულმა მშრომელმა, კომუნისტმა და კომკავშირელმა, საბჭოთა დეპუტატებმა და აქტივისტებმა სწორად მონახონ საკუთარი ადგილი ხუთწლედისათვის შრომის საერთო ფერხულში, შეითვისონ და შეიხსნიხლხორცონ თავისი კონკრეტული ვალი და იბრძოლონ მისი რეალიზაციისათვის, ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ პირნათლად შეეხვედეთ სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „1980-81 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი დიდი აღფრთოვანებით შრომობენ სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ბევრმა კოლექტივმა, წარმოების მოწინავეებმა და ნოვატორებმა გამოიჩინეს ინიციატივა — გაშალონ მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება 1980-81 წლის ზამთრის პერიოდში რძის, ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კოლმეურნეთა, მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, სოფლის კომუნისტთა, კომკავშირელთა, ყველა მუშაკის შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომ განვითარებას, მოიწონეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, განყოფილებების, მეცხოველეობის ბრიგადების, ფერმების მოწინავე კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი და წამოაყენეს წინადადებანი — გაშალონ მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება 1980-81 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის, დაწესებული გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა დაუჭიროონ მხარი მოწინავეთა ინიციატივას, გააძლიერონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა ფართოდ გაიშალოს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, ფერმებისა და ბრიგადების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების, ავრეთვე რაიონების, ოკრუგების, ოლქების, მხარეების, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, განაგითარონ მეცხოველეთა შემოქმედებითი ინიციატივა, რათა მათ კიდევ უფრო აამაღლონ ფერმების პროდუქტიულობა, გაზარდონ ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება, ეფექტიანად გამოიყენონ საკვები, სრულად შეინარჩუნონ პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები და ნაკისრი ვალდებულებანი.

ნიადაგ გააძლიერონ შეჯიბრების ქმედითობა წარმოების ყველა უბანზე, აამაღლონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა როლი სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში, ჩაუნერგონ სოფლის თითოეულ მშრომელს სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, გააძლიერონ მუშაობა მასობრივი პროფესიების კადრების, განსაკუთრებით მეცხოველეთა მომზადებისა და გადამზადებისათვის, უფრო ფართოდ განავითარონ დამრიგებლობა.

სოციალისტური შეჯიბრება უნდა მიმდინარეობდეს ლოზუნგით: „დავამზადოთ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით“.

დადგინდა, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ჩაითვლებიან რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, ავტონომიური ოკრუგები, რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათშორისო და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები, მეცხოველეობის ბრიგადები და ფერმები, რომლებიც ორგანიზებულად გამოზამთრებენ პირუტყვს, მაღალ შედეგებს მიაღწევენ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, უზრუნველყოფენ ამ პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის მატებას, პირუტყვის სულადობის ზრდასა და მისი პროდუქტიულობის მატებას გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს შესაბამის პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად დაევალათ საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით ორ კვირაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1980-81 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა. ბრიგადებისა და ფერმების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების სრულიად საკავშირო შეჯიბრების პირობები.

1980-81 წლის ზამთრის პერიოდში პიროუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1300 საპატიო სიგელი, აქედან:

მოკავშირე რესპუბლიკების დასაჯილდოებლად — 6 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 50-დან 100 ათას მანეთამდე;

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური ოლქების დასაჯილდოებლად — 34 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 25-დან 50 ათას მანეთამდე;

ავტონომიური ოკრუგებისა და რაიონების დასაჯილდოებლად — 260 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 5-დან 15 ათას მანეთამდე;

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად — 1.000 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 3-დან 5 ათას მანეთამდე.

მეურნეობები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით, მიიღებენ ავტობუსებსა და მსუბუქ ავტომობილებს იმ პირობებით, რომლებსაც განსაზღვრავენ შესაბამისი სამინისტროები და უწყებანი.

მიღებული, წინადადებანი:

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა — დაწესდეს მეცხოველეობის საუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივებისათვის 700 სამახსოვრო წოფელი ვიმპელი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სხვა სამინისტროებისა, რომლებსაც აქვთ დახმარე სასოფლო მეურნეობისა, და შესაბამის პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა — დაწესდეს ამ სამინისტროებისა და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების საპატიო სიგელები 1980-81 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისა და შესაძლებლობის გამოყენებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულების — მეცხოველეობის მოწინავეების, კოლმეურნეობების, საბჭოთა, მეურნეობების, დამხმარე სასოფლო მეურნეობების, სამეურნეობათშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების, ფერმებისა და მეცხოველეობის ბრიგადების კოლექტივების დასაჯილდოებლად. საპატიო დიპლომით დაჯილდოება ხდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების გადაწყვეტილებით სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით.

მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები უნდა შეჯამდეს 1981 წლის 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით 1980 წლის IV კვარტალისა და 1981 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლის გათვალისწინებით.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს ნება ეძლევათ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებთან ერთად სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებაზე წარმოადგინონ მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული შედეგებს და აჩვენებენ შრომითი მამაცობის ნიმუშებს 1980-81 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისა და შესაძლებლობის გამოყენებისათვის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

ცენტრალური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რედაქციებს დაევალათ ფართოდ გაშუქონ მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში მიმდინარეობა ყოველმხრივ გაუწიონ პროპაგანდა წარმოების ნოვატორ-მოწინავეთა გამოცდილებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებიც ემზადებიან სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ახალ წარმატებებს მიაღწევენ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში და თავიანთ წვლილს შეტანენ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებაში.

აკაკი და დღევანდელობა

ადგა ეს დღეც — მთელი ჩვენი მრავალეროვნული რესპუბლიკა იუბილეს უხდის, პატივს მიაგებს დიდ ქართველ პოეტს, რომლის დამსახურება სამშობლოს წინაშე სამაგალითოა თაობებისათვის.

აკაკი წერეთელი უპირველესად ეროვნული პოეტია. ამიტომაც აუგო მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავის ხსოვნაში უკვდავების ძეგლი უსაყვარლეს მგოსანს, ამიტომაც გაითავისა აგრერიგად მისი სულმნათი პიროვნება.

მაგრამ ხალხის ამდაგვარი, განუზომელი სიყვარულის მთავარი პირობა მაინც ის არის, რომ, დიდ პიროვნებათა დარად, აკაკი წერეთლის შემოქმედება თანამედროვეობის სამსახურსაც გვიკარნახებს და ამდენად, გაუღენთილია ხალხთა მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის მძლავრი სულისკვეთებით.

მოყოლებული რუსთაველიდან მეგობრობის ყოვლისმძლე გრძნობით საზრდოობს ქართული მწერლობის უდიდეს თანავარსკვლავედთა შემოქმედება. ამ თანავარსკვლავედში გამორჩევით ბრწყინავს აკაკი — დიდი ინტერნაციონალისტი.

პოეტის ამ ერთ-ერთ საყვარელ თემას დიდი ფასი ედება დღეს, რადგან მთელი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრება, ჩვენი რესპუბლიკის ბოლო წლების განსაკუთრებული ინტერნაციონალური სულისკვეთება, მისი აღმშენებლობის დღეებივით ნათელი და გაუხუნარია.

ქართველი ხალხი, მთლად საქართველო და მისი კომპარტია არასოდეს არ ყოფილან აგრერიგად ამაღლებული საერთო საქმეთათვის, ეროვნებათა ძმური შეკავშირებისათვის.

დღეს ერთხელ კიდევ როგორ არ მოვიხიბლოთ აფხაზეთის მშვენიერი ბუნებითა და ნამუსიანი ხალხით, როდესაც აკაკის „გამზრდელს“ ვკითხულობთ. სახალხო მგოსნის იუბილეს, დღეს ერთნაირად იზიარებენ აფხაზეთში, აჭარასა და ოსეთში. მის პიროვნებას, მის კალამს ლოცავენ. და ეს არ არის უბრალო ვალის მოხდა. ეს ჩვენი დღევანდელობით განმტკიცებული, ერთიანობის გამომხატველი სიყვარულის ძალაა.

გუშინ და დღეს აკაკის პოეზიის ზეიმია საჩხერეში — სხვიტორში. ვინ არ ჩამოვიდა ამ ზეიმზე, საბჭოთა კავშირის რომელი კუთხიდან არ გვეწვია სტუმარი. არც ეს არის უბრალო ვალის მოხდა — აკაკი დღევანდელობისათვის ისევე საინტერესო და სამაგალითოა, როგორც მისი დღევანდელი საქართველო გახდა საინტერესო და სამაგალითო კეთილ მეგობართათვის.

როდესაც „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში დაბეჭდილ, პოეტისადმი მიძღვნილ მასალებს ჩაიკითხავთ, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, თუ რა ყოვლისმომცველი იყო არე მისი მოღვაწეობისა. აკაკი ხალხთა მეგობრობის დიდი მეხოტბე, ქართული თეატრის ქომაგი, ჩვენი ფოლკლორის უზადო მცოდნე და დამცველი...

ერთი წუთით ჩვენს გულებში ჩავიხედოთ, თუ როგორ ახდა, აცხადდა პოეტის ოცნება სამშობლო ქვეყნის წინსვლაზე, როგორ გაშალა ფრთები ეროვნულმა თეატრმა, როგორ გადაეცალა ოკეანეს სცენიდან ნათქვამი ქართული სიტყვა, რა დამცველი და მოამაგე გამოუჩნდა ხალხურ მარგალიტებს, ჩვენს ფოლკლორს.

გამარჯვებული ხალხი უხდის დაბადების დღეს ქართულ პოეტურ ტალანტს. დღეს კიდევ უფრო ამაღლებულად ეღერს შუბლნათელი მგოსნის ღაღადისი: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“.

და მოედინება აკაკის ლექსი წყაროსთვალივით ანკარა, ქართულ ცასავით ღრმა და ცინცხალი, ყოველთვის თანამედროვე, ჭირსა შინა სალბუნი და ლხინსა შინა სალაღობო.

საზღვრის კომუნისტთა ფორუმი

გაიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების VIII პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე გამოვიდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების პოლიტგანყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი მ. ჩერედილოვი, რომელმაც გააკეთა მოხსენება „საზღვრის დაცვის გასაძლიერებლად, სიფხიზლისა და საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად, სამხედრო დისციპლინის განსამტკიცებლად და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მეომართა პირადი შემადგენლობის დასარაზმად მიმდინარე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისა და მისი ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ამიერკავკასიის საზღვრის კომუნისტებმა განიხილეს აგრეთვე მოხსენება: „პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი“ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების პარტიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. პუგაჩოვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ვოსკანიანი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ინაური, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების პოლიტგანყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ა. ლატიშევი, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებათა გამგეები ნ. საჯაია, მ. დავთიანი, ს. გუსეინოვი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები ბ. ადლეიბა და ვ. პაპუნიძე და ამიერკავკასიის რესპუბლიკების, ქალაქ თბილისის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

განხილულ საკითხებზე მიიღეს ვრცელი გადაწყვეტილებანი.

სამხრეთის საზღვრის წარმომადგენლებმა მოისმინეს ანგარიში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების პოლიტგანყოფილებასთან არსებული პარტიული კომისიის მუშაობის შესახებ და აირჩიეს მისი ახალი შემადგენლობა.

საზღვრის კომუნისტთა ფორუმმა ცხადყო პარტიული რიგების მონოლითური ერთიანობა, მათი შეკავშირება ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თითოეული პარტიულის მისწრაფება უზრუნველყოს ჩვენი საყვარელი სამშობლოს სამხრეთის საზღვრების ხელშეუხებლობა, ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXVI ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს. (საქრონიკო რმი).

უკვე ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს რესპუბლიკაში უძველეს დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს. დასავლეთ საქართველოს ბევრი რაიონის შვიდასზე მეტი ქალიშვილი და ბაბუკი იუფლება აქ სპეციალურ ცოდნას, რათა გახდნენ აგრონომები, ბუღალტრები, მებადეები და მევენახეები, დეკორატორ-გამამწვანებლები.

სურათზე: მესამე კურსის მოსწავლე მაია მაქაცარია კრეფს ხილს დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის ბაღში.

გ. გეორგაძისა და ფ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი მიწნები

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებას მიეძღვნა დარგის ხელმძღვანელ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც თბილისში გაიმართა.

თათბირი გახსნა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. პლოხოვმა.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. გამცემლიძე.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამმართველოთა უფროსები ა. ბულაკი, ვ. ისაკოვი და სხვები.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს მიმდინარე ხუთწლედში გაწეული მუშაობის გამოცდილება და დასახეს ამოცანები მეთერთმეტე ხუთწლედის შესრულებისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. ივანაშვილი. (საქინფორმი).

თბილისში ჩამოვიდნენ ბრაზილიის პარლამენტარები

18 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდა ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის დელეგაცია პალატის თავმჯდომარის ფლავიო პორტელა მარსილიოს მეთაურობით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

ბრაზილიელ პარლამენტართა დელეგაციას ჩამოჰყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი — ეროვნებათა საბჭოს მრეწველობის კომისიის წევრი ვ. აკულინცევი.

ბრაზილიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშებით მორთულ აეროდრომზე სტუმრებს დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. აბაშიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ალხამოვი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თ. გამყრელიძე, გ. მირიანაშვილი, ვ. პატეიშვილი, ნ. ფოფხაძე, ო. ქაჯაია, ნ. ჯანბერიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ჭიჭინაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის პირველი მოადგილე ი. ანდრიაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. გორდელაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ნ. რუხაძე.

ბრაზილიელი სტუმრები ორ დღეს დარჩებიან საქართველოში. (საქინფორმი).

პარტიულ კონფერენციებზე

დიდ მიზნებს—დიდი მონდომება

კომუნისტი აყენებს წინადადებას

—დიდი მიზნები თავისთავად წარმოშობს დიდ სულიერ და ფიზიკურ ენერგიას, — თქვა თავის გამოსვლაში ბათუმის საქალაქო პარტორგანიზაციის XXVIII კონფერენციის დელეგატმა, სამკერვალო გაერთიანების ბრიგადირმა ნ. ხოხრეველიძემ, — ასეთი მიზნები ჩვენ პარტიის XXV ყრილობამ დაგვისახა და წარმატებითაც ვახორციელებთ. გაერთიანების კოლექტივმა 7 ოქტომბერს შეასრულა მეათე ხუთწლედის გეგმა, 60 სახეობის პროდუქციას მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი, წლის ბოლომდე დარჩენილ დროში გადმოვუშვებთ 3 მილიონი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას... აქვე უნდა აღვნიშნო ის ზოგიერთი საკითხი, რომელთა მოგვარებას წლების მანძილზე საშველი არ დაადგა. ჩვენს სამიათასაკიან კოლექტივს არ გააჩნია კლუბი, გაჯიანურდა ხუოლს ფილიალის მშენებლობა, ბევრ მუშას ცუდი საცხოვრებელი პირობები აქვს. საწარმოს შენობა ამორტიზებულია და გადაუდებელ რეკონსტრუქციას საჭიროებს...

დელეგატს სხვაც ბევრი რამ აღმოაჩნდა სასაყვედურო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ბათუმის სასადილოების ტრესტის ხელმძღვანელების მიმართ. კრიტიკული გამოსვლა სამართლიანი იყო და ამიტომაც დაიმსახურა კონფერენციის მონაწილეთა მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე ბევრ მტკივნეულ და მნიშვნელოვან პრობლემას შეეხნენ, პრინციპულად ილაპარაკეს მათზე და, რაც მთავარია, მრავალი მათგანის გადაჭრის გზები უშუალოდ კონფერენციის მსვლელობის პერიოდში გამოინახა. მაგალითად, ცნობილია, რომ რკინიგზა ბათუმს შუაზე კვეთს, რაც აფერხებს ქალაქის განვითარებას, საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობას და სხვა მრავალ უხერხულობასაც ქმნის. დელეგატებმა გულისტკივილით ილაპარაკეს იმაზეც, რომ რკინიგზელებს არ ჰყოფნით საცხოვრებელი სახლები, რომ თბილისი-ბათუმის მატარებლებზე ხშირად ვერ იშოვი კარგ ბილეთებს. არადა, ვაგონები არსებითად მხოლოდ სანახევროდ არის შევსებული. ეს კი ხელს უწყობს ვაგონების ზოგიერთი გამცილებლის ანგარებას.

ამ კრიტიკულ შენიშვნებს კონფერენციაზევე გასცა პასუხი ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ლ. ვარდოსანიძემ. კერძოდ, მან თქვა, რომ 1981 წლიდან გათვალისწინებულია ბათუმის ახალი სამგზავრო სადგურის დაპროექტება, მომავალი წლიდან რკინიგზელებისათვის საფუძველი ჩაეყრება ახალ 70-ბინიანი სახლის შენებლობას, ხოლო თბილისი-ბათუმის ხაზზე იმუშავებს მატარებლების ახალი შემადგენლობა და ახალი მომსახურე პერსონალი, რომლის წევრები მგზავრებს მაღალ დონეზე მოემსახურებიან.

კონფერენციამ ყურადღება გამამახვილა არა მარტო მომხსენებლის, ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის დ. მახარგალაძისა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში დასმულ აქტუალურ საკითხებზე, არამედ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საარგარიშო-საარჩევნო კრებების დროს კომუნისტთა მიერ გამოთქმულ წინადადებებსა და შენიშვნებზეც, რომლებიც თავის დროზე შეისწავლა საქალაქო კომიტეტმა და სათანადო ღონისძიებანიც განხორციელა, დაინტერესდნენ, თუ რა გაკეთდა მათი გათვალისწინებით.

საანგარიშო პერიოდში ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემების განხილვასთან ერთად ქალაქის პარტიული ორგანიზაციები მუდმივ ყურადღებას აქცევდნენ კომუნისტთა აღზრდის სრულყოფას, პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. თანამიმდევრულად ახორციელებდნენ ზემდგომი პარტიული ორგანოების პლენუმებსა და აქტივის კრებებზე მიღებულ დადგენილებებს. სწორედ საქმისადმი ამგვარმა მიდგომამ განაპირობა მნიშვნელოვანწილად წარმატებები, რომლებიც ქალაქის საჩალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მშრომელებმა მოიპოვეს ხუთწლედის გასვლილ პერიოდში. ამ დროის მანძილზე მათ აწარმოეს 32,4 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში დიდი ყურადღება დაუთმო თითოეული ძირეული რგოლის ბრძოლისუნარიანობისა და აქტიურობის ამაღლებას, რადგანაც სწორედ აქ, ძირითადად უჯრედში, კომუნისტთა თაოსნობით წყდება პრაქტიკულად ყველა საქმის ბელი ქარხნის პარტჯგუფორგის, ქალაქის კონფერენციის დელეგატის ა. დარსალიას პარტჯგუფის თაოსნობას დევნით — პარტიის XXVI ყრილობას — 26 დამკვრელური კვირა! — ათასობით შრომითი კოლექტივი გამოეხმაურა და ფრთა შეასხა.

საანგარიშო პერიოდსა და, საერთოდ, მეათე ხუთწლედის მანძილზე წარმატებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრეწველობის დარგში. საექსპლოატაციოდ გადაეცა ათობით ნახევრად ავტომატიზებული ხაზი. გაიზარდა სიმძლავრეები, დაინერგა ათასობით რაციონალიზატორული წინადადება, აითვისეს 180 სახეობის პროდუქცია, ბევრი აქაური ნაწარმი საექსპორტოდ იგზავნება მრავალ ქვეყანაში.

როდესაც წარმატებებზე ლაპარაკობდნენ, კონფერენციის მონაწილეებს არც ის დაუმალავთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება აქვთ. ითქვა, რომ ჩამორჩენაა ეს ხუთწლედის დავალებათა შესრულებას ვერ უზრუნველყოფენ ბათუმის ელექტromექანიკური, მანქანათაშენებელი, გემთაშენებელი ქარხნები, თევზჭერის ფლოტის სამმართველო და ზოგიერთი სხვა საწარმო. მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ ყველაფერი მხოლოდ შრომითი კოლექტივების, პარტორგანიზაციების სუსტი მუშაობის შედეგი კი არა, ობიექტური მიზეზებითაც არის გამოწვეული. მაგალითად, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. გუდინაშვილმა დააყენა საკითხი ზოგიერთი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების წინაშე, რათა ისინი დაეხმარონ მათ ნედლეულის რიტმული მოწოდების ორგანიზაციაში. ხუთწლედის განმავლობაში საწარმოს დააკლეს ათასობით ტონა ნავთობი. ასეთივე მდგომარეობაა ელექტromექანიკურ, მანქანათაშენებელ და სხვა ქარხნებში, რომლებმაც ვერ მიიღეს დაგეგმილი როდენობის რკინა, ფოლადი, აკუმულატორები და სხვა საჭირო ნაწარმი. ასეთი მდგომარეობა იწვევს უარყოფითს ჯაჭვურ რეაქციას. თავის მხრივ მათ შემკვეთ ორგანიზაციებს ვერ მიაწოდეს სატრაქტორო და კვების მრეწველობის მანქანები.

ბევრი რამ კეთდება ქალაქის კეთილმოწყობისათვის, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია. ქალაქის სამხრეთით ქუჩების დიდი ნაწილი მოუვლელია, ქუჩებისათვის არ ჰყოფნით შავი საფარი, ქუჩებში ქვაფენილის დაგებაზე კი ხელი აიღეს. ასევე მეტ ყურადღებას მოითხოვს საბინაო ფონდის მოვლა.

პარტია გვასწავლის, წარმატებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ხარვეზებს, ჩავწვდეთ „ვიწრო ადგილებს“, ყველა რგოლი ავამოქმედოთ რიტმულად. კარგად უნდა გვახსოვდეს ლ. ი. ბრეჟნევის მითითება: „კრიტიკულად მივეკიდოთ ნარვეზებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს მეურნეობრიობის და კაცმა რომ თქვას, პარტიული მუშაობის პრაქტიკაში...“ და სწორედ ამ „ეროვნული ბრძოლის“ გამო, ბრძოლად და დაუდგრომელ ძალისხმევად ალექსანდრეს დელეგატებმა, ამხილეს ნაკლოვანებები. ბევრ გამოვლილ მიზეზებზე... [illegible] მიზნით კონფერენციის მესთავაზეს გონივრული, გააზრებული წინადადებები.

ცხოვრება წინ მიდის, ამოცანები უფრო და უფრო მასშტაბური ხდება და, ამდენად, საქალაქო კომიტეტის, პირველადი პარტორგანიზაციების საქმე და საზრუნავიც მატულობს. ყველა ეს პრობლემა, მომავლის პერსპექტივები კარგად აისახა კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში. ახლა მთავარია, რომ სიტყვას კონკრეტული საქმე მოჰყვეს, ქალაქის თითოეულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყოველმა კომუნისტმა შემდგომი მუშაობის საფუძვლად გაიხადოს ლკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

სწორედ ასეთი სულისკვეთება იგრძნობოდა კონფერენციაზე, რაც საფუძველს იძლევა ითქვას, რომ ბათუმის მშრომელები, კომუნისტები წარმატებით გაართმევენ თავს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს!

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

საკლესიისა და ახალი ამგების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი ჟურნალიდან

ერთობლივი დეკლარაცია

ვარშავა, 13 დეკემბერი. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, აქ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, გაერთიანებული გლეხთა პარტიისა და დემოკრატიული პარტიის თანამშრომლობის ცენტრალური შეთანხმების კომისიის სხდომა.

სხდომაზე მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ საჭიროა ერთობლივი მოქმედება პოლონელი ხალხის მეცადინეობის კონსოლიდაციისთვის, რათა დაძლიონ ახლანდელი სიძნელეები და ქვეყანაში მოხდეს ვითარების სტაბილიზაცია.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, გაერთიანებული გლეხთა პარტიისა და დემოკრატიული პარტიის ურთიერთმოქმედება, აღნიშნულია დეკლარაციაში, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციაში განსაზღვრული პოლონეთის პოლიტიკური სისტემის საფუძველია. ზრუნავენ რა პოლონეთის მომავლისათვის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი და დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი გამოთქვამენ სიერთოდ ნებას — მტკიცედ იმოქმედონ ხალხის მთელი ძალების ერთიანობის განმტკიცებისათვის, რათა დაძლიონ არსებული სიძნელენი და თანამიმდევრულად განახორციელონ სოციალისტური წყობილების საფუძველზე სოციალისტური განახლების პროგრამა.

პოლონეთის საგარეო პოლიტიკის საძირკველია, ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში, საბჭოთა კავშირთან ისტორიით ნაცადი კავშირი, მეგობრობა და თანამშრომლობა. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და მეგობრობა ასახავს სოციალისტური ქვეყნების როგორც იდეურ, კლასობრივ ერთიანობას, ისე პოლონელი ხალხის საარსებო ინტერესებსაც.

დასასრულ დეკლარაციაში ნათქვამია: ჩვენ მოვუწოდებთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, გაერთიანებული გლეხთა პარტიისა და დემოკრატიული პარტიის ყველა წევრს, აქტიურად იმოქმედონ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების სოციალისტური განახლების საქმეში პროგრესის უზრუნველყოფისათვის. ჩვენ ერთად ვილაშქრებთ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურს პოლონეთი აიცდინოს ამ გზას, თავსავს ქაოსს და ასუსტებს სახელმწიფოს ძალასა და ავტორიტეტს.

სხდომაში მონაწილეობდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია, გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ს. გუცვა, დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ტ. მლინჩაკი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, გაერთიანებული გლეხთა პარტიისა და დემოკრატიული პარტიის სხვა ხელმძღვანელები.

აგრესორის პროვოკაციები

ბეირუთი, 13 დეკემბერი. განვლილ დღე-ღამის განმავლობაში ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალების კატარღებმა კვლავ სცადეს გაჭრილიყვნენ ლიბანის რესპუბლიკის სანაპირო-ზოლაკენ რას ალ-აინის დასახლებული პუნქტის რაიონში. პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანებული ძალებისა და ეროვნულ-პატრიოტული ძალების სანაპირო არტილერიამ შემხვედრი ცეცხლით აგრესორები აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენ.

ტელ-ავივი კვლავ თავს უყრის თავის ჯარებს რაიონებში, რომლებსაც კონტროლს უწევენ სამხრეთლიბანელი სეპარატისტები.

სამხრეთ ლიბანის პროვინციათა მუნიციპალიტეტების მეთაურებმა ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდეს მონაწილეობა მიიღოს სამხრეთ ლიბანის პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში, რომელიც ამა წლის 28 დეკემბერს გაიმართება. მათ აგრეთვე გაუგზავნეს წერილები არაბული სახელმწიფოების ხელმძღვანელებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ლიბანის ხელისუფალთ, რომლებშიც მოითხოვენ, რომ მათ დაუყოვნებლივ გააცხორციელონ ღონისძიებანი, რათა მოწესრიგდეს სამხრეთ ლიბანის პრობლემა, მოისპოს სეპარატისტთა მიერ შექმნილი ეგრეთ წოდებული „თავისუფალი ლიბანის სახელმწიფო“, ისრაელმა ლიბანის რესპუბლიკის ტერიტორიიდან გაიყვანოს ყველა ქვეგანაყოფი, აგრეთვე დახმარება გაუწიონ ამ რაიონების მცხოვრებლებს.

ეკლესიის მეთაურის მოთხოვნა

ჰავანა. 13 დეკემბერი. ჰაიტის კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა არქიეპისკოპოსმა ფ. ლინგონდმა დიუვალიეს რეჟიმს მოსთხოვა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს რეპრესიები და გაათავისუფლოს ყველა პოლიტიკური ტუსაღი. პორტ-ო-პრენსში გამოსვლისას მან განაცხადა, რომ უკანასკნელ კვირებში საიდუმლო პოლიციის აგენტებმა ყოველგვარი ბრალდების წაუყენებლად დააპატიმრეს 50-ზე მეტი კაცი. ეს დაპატიმრება ნაწილია ახალი რეპრესიებისა, რომელიც დიქტატურამ გააჩაღა ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ.

სან-ხოსე. ლათინური ამერიკის თვალსაჩინო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა გააკეთა ერთობლივი განცხადება, რომელშიც გადაჭრით დაგმო ჰაიტის რეჟიმის დანაშაულობანი. მექსიკის დედაქალაქში გამოქვეყნებული ამ დოკუმენტის ხელმოწერთა შორის არიან სალვადორის რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი რ. მენხივარი, ჩილეს პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ქვრივი ორტესია ბუსი დე ალიენდე, მექსიკის კონგრესის დეპუტატები მემარცხენე ძალების კავშირისაგან.

დიუვალიეს პირსისხლიანმა ხროვამ, რომელიც უკვე 23 წელია ჰაიტის მბრძანებლობს, ნათქვამია განცხადებაში, 30 ათასზე მეტი კაცი მოსპო. პატრიოტთა ხოცვა და გაჭრობა დღესაც გრძელდება.

„კომუნისტის“ კომენტარი

რ. ეანეში კვლავ პრეზიდენტია

პორტუგალიის ახლანდელი პრეზიდენტის რამალიუ ეანეშის გამარჯვება უკანასკნელ არჩევნებში (ამომრჩეველთა ხმების 56,38 პროცენტი) და მისი მთავარი მეტოქის სოარეშ კარნეიროს მარცხი (40,3 პროცენტი) არ წარმოადგენენ მხოლოდ პირად წარმატებასა თუ წარუმატებლობას. 7 დეკემბრის არჩევნები იყო პროგრესული ძალების ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელმაც შესაძლოა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე.

საქმე ის არის, რომ მას შემდეგ რაც „დემოკრატიულმა ალიანსმა“ მოიპოვა პარლამენტში მყარი უმრავლესობა (134 ადგილი 250-დან) სოარეშ კარნეიროს წარმატება ნიშნავდა მემარჯვენე ძალების სრულ და განუყოფელ კონტროლს მთელ პოლიტიკურ ცხოვრებაზე და, რაც მთავარია, ძირეულ ცვლილებებს კონსტიტუციაში.

არჩევნების წინ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ბევრს ეეჭვა კი არ ეპარებოდა რეაქციის წარმატებაში. გარდა იმისა, რომ უკანასკნელმა საპარლამენტო არჩევნებმა გვიჩვენა „დემოკრატიული ალიანსის“ გაკვლენის მნიშვნელოვანი ზრდა, მისი მთავარი მეტოქის — სოციალისტური პარტიის ბანაკში განხეთქილება მოხდა. ამ პარტიის გენერალური მდივანი მ. სოარეში პრეზიდენტის არჩევნებამდე გადადგა თავისი პოსტიდან, რადგანაც არ დაეთანხმა თავისი პარტიის ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭიროს რ. ეანეშს, რომელსაც რეაქცია ბრალს სდებდა „პოლიტიკურ არათანამიმდევრულობასა და ოპორტუნიზმში“.

მემარჯვენე ძალებმა თავის საარგებლოდ გამოიყენეს ისეთი ფაქტიც კი, როგორიც იყო პრემიერ-მინისტრ საკარნეიროს მოულოდნელი დაღუპვა არჩევნებამდე რამოდენიმე დღით ადრე, რაც თითქოს, მოასწავებდა სოარეშ კარნეიროსადმი (მას მხარს უჭერდა განსვენებული პრემიერი) ამომრჩეველთა სიმპათიების ზრდას.

დიდი მნიშვნელოვანა ჰქონდა კომუნისტური პარტიის პოზიციას, და როგორც არჩევნების შედეგებიდან ჩანს, სწორედ იმ ფაქტმა, რომ კომუნისტებმა მოახსნეს საკუთარი კანდიდატურა (კარლუშ ბრიტუ) და მხარი დაუჭირეს რ. ეანეშს, გადამწყვეტი როლი ითამაშა მის არჩევაში.

რ. ეანეში, ცხადია, კომუნისტი არ არის: იგი იცავს „დემოკრატიის დასავლურ მოდელს“, გამოდის პორტუგალიის ნატოსა და „საერთო ბაზარში“ მონაწილეობის მომხრედ. მაგრამ ამავე დროს იგი გამოდის კონსტიტუციის კარდინალური გადასინჯვის წინააღმდეგ და საერთაშორისო ასპარეზზე იცავს ყველა ქვეყნებთან ურთიერთობათა ჰარმონიული განვითარების პრინციპს.

რამალიუ ეანეშის არჩევა პრეზიდენტად ნიშნავს მარჯვნე გადახრის შეჩერებასა და ერთგვარი პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნებას პორტუგალიაში.

ედ. მენაბდე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

ვიეტნამის ახალი კონსტიტუცია

ჰანოი, 13 დეკემბერი. აქ გაიხსნა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების სესია. სესიის დღის წესრიგშია ვიეტნამის ახალი კონსტიტუციის, რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატთა არჩევნების კანონის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის 1981 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის განხილვა.

მოხსენება „ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ გააკეთა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ჩიონგ ტინმა.

ახალი კონსტიტუცია, თქვა მან, კანონმდებლობის წესით დამკვიდრებს დიად გამარჯვებას, რომელიც ვიეტნამელმა ხალხმა მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე განამტკიცებს მის გადაწყვეტილებას აშენოს სოციალისტური საზოგადოება.

იგი ამკვიდრებს მშრომელთა უფლებას— იყვნენ ქვეყნის კოლექტიური ბატონ-პატრონნი, განსაზღვრავს მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელ როლს საზოგადოების მთელ ცხოვრებაში. პროექტში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემაში. კონსტიტუცია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეებს ანიჭებს ფართო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებს, განსაზღვრავს მათს მოვალეობებს.

ჩვენი სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს, ხაზი გაუსვა ჩიონგ ტინმა, გამოხატავს მისი საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელიც ძირითადი კანონის პროექტით არის დამკვიდრებული.

ვიეტნამის კომუნისტური პარტია, ეროვნული კრება, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი, განაცხადა ჩიონგ ტინმა, მთლიანად უჭერენ მხარს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ლენინურ საგარეო პოლიტიკას და დაუფლავ მეცადინეობას, რომლის მიზანია დამაბოლოების შენელების პროცესის გაქტიურება და მშვიდობის შენარჩუნება. ჩვენ დიდად ვაფასებთ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების ხელმძღვანელ მოღვაწეთა მოსკოვის შეხვედრის შედეგებს.

განათლების საჭიროებებისათვის

მანაგუა, 13 დეკემბერი. აქ გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის მიერ ნიკარაგუაში უწიგნურობის ლიკვიდაციის კამპანიის საჭიროებისათვის უსასყიდლო დახმარების გადაცემას. საბჭოთა კავშირმა ნიკარაგუას გაუგზავნა ავტომანქანები, სასკოლო მოწყობილობა და საწერი ნივთები.

ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ის არის, განაცხადა ცერემონიაზე ნიკარაგუის განათლების მინისტრმა კარლოს ტუნერმანმა, რომ უზრუნველყოთ ხალხის განათლების უფლება. უკვე წელს ეროვნული აღორძინების მთავრობამ სამჯერ გაზარდა წინა წლებთან შედარებით ასიგნებანი განათლების საჭიროებისათვის. ჩვენ წარმატებით დავასრულეთ უწიგნურობის ლიკვიდაციის კამპანიის პირველი ეტაპი. საბჭოთა კავშირის ამ დახმარებას გამოვიყენებთ იმისათვის, რომ ცოდნა შევიტანოთ ქვეყნის შორეულ, ძნელად მისასვლელ რაიონებში. ეს დახმარება, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა, კონკრეტულად ადასტურებს საბჭოთა ხალხის სოლიდარობას ჩვენს რევოლუციასთან, რევოლუციური თავისრნის იმ მისწრაფების მხარდაჭერას, რომ გაიუმჯობესოს ქვეყნის მშრომელთა ცხოვრება.

უნგრეთის პროფკავშირთა ფორუმი

ბუდაპეშტი, 13 დეკემბერი. აქ გაიხსნა უნგრეთის პროფკავშირთა XXIV ყრილობა. მისი დელეგატები შეაჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს, დასახავენ მომავალი პერიოდისათვის პროფკავშირთა საქმიანობის სრულყოფის თავარ მიმართულებებს.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, ქვეყნის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები. ყრილობას ესწრებიან საზღვარგარეთის პროფცენტრების დელეგაციები, მათ შორის საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ა. ი. შიბაევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა სრულიად უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ.

. ბენეი ანგარიშის სისტემამ, „ხელფასის“ მუშაობის პირველივე თვეებში დაიზოგა 80 მილიონი კრონის ფერადი ლითონები, „ტესლა-კარლინის“ მარკიანი აპარატურა წარმატებით მუშაობს მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების ბევრ სატელეფონო სადგურში.

ჰავანა. თავისუფლების კუნძულზე წარმატებით ხორციელდება ხელფასის საყოველთაო რეფორმა. მისი განხორციელება ქვეყანაში დაიწყო დაგეგმვისა და ეკონომიკის მართვის ახალ სისტემაზე ეროვნული ეკონომიკის გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომლებიც კუბის კომპარტიის 1 ყრილობაზე მიიღეს.

მატერიალური სტიმულირების პრინციპის შემოღება, ფასების ნორმირებისა და გადასინჯვის პროცესის დაჩქარება, ანაზღაურება შრომის ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, საპრემიო ფონდების გამოყენება მშრომელთა წახალისებისათვის იწვევს წარმოების ზრდას, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას. ამავე დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის დისციპლინა, მკვეთრად შემცირდა კადრების დენადობა. ეს არის აზრი და მნიშვნელობა ხელფასის საყოველთაო რეფორმისა.

სოფია. „როდოპის მძივი“ — ასე ეწოდება ბულგარელი სელექციონერების მიერ გამოყვანილ ახალი ჯიშის სუფრის ყურძენს. მას ახასიათებს გადიდებული ზაქრიანობა. ეს ვაზი დიდ მტევანს ისხამს. ახალი ჯიში კარგად უძლებს დაავადებებსა და ამინდის ცვალებადობას, „როდოპის მძივი“ ჰექტარზე 15-20 ტონაზე მეტ ყურძენს იძლევა.

ბულგარელმა მევენახეებმა მეშვიდე ხუთწლედის მანძილზე ახალ შრომითს წარმატებებს მიაღწიეს, გამოიყვანეს ორიგინალური უხვმოსავლიანი ჯიშები, გააშენეს დიდი ვენახები. დარგში შრომის ნაყოფიერება 5-ჯერ გაიზარდა. მექანიზებულია მთელი რიგი სამუშაოები, მათ შორის ზოგიერთი ჯიშის ყურძნის კრეფა.

ვიენტიანი. ვადამდე ამოქმედდა ლაოსის უდიდესი კინამოს ჰიდროკომპლექსის პირველი რიგი ვიენტიანის გარეუბანში. მისი სიმძლავრე ყოველდღიურად 40 ათასი კუბური მეტრი სასმელი წყალია, რაც სრულად დააკმაყოფილებს ლაოსის დედაქალაქის მოთხოვნილებას წყალზე. ჰიდროკომპლექსის შენებლობის სრული დამთავრების შემდეგ, როცა მისი სიმძლავრე სამჯერ გაიზრდება, შეიქმნება საიმედო რეზერვები ვიენტიანის განვითარებადი მრეწველობის საჭიროებისათვის.

სოციალიზმის ქვეყნებში

- ყრილობის შესახებ
- ხელფასის რეფორმა
- ყურძნის ახალი ჯიში
- დიდი ჰიდროკომპლექსი



ბულგარეთის მეტალურგიის გიგანტს — შუმენის ალუმინის კომბინატს სამართლიანად უწოდებენ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პირმშოს.

კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი საბინაო მშენებლობა. მარტო ფხენიანში წელს ახალმოსახლეობა იზეიმა ათი ათასზე მეტმა ოჯახმა.

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა არა მარტო უძველესი ქალაქია, არამედ ქვეყნის ადმინისტრაციული, კულტურული და ეკონომიკური ცენტრიც. აქ ყოველწლიურად ათიათასობით ტ

დგას საქართველო ოქროს თასივით, შენი ლექსების ნექტარით სავსე

ალ. აბაშელი

ხაქართველოს ხსრ ხახალხო მხატვარი პ. სანაძე.

ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერალი

ᲓᲘᲓᲘ პოეტი აკაკი წერეთელი სამშობლოს განუზომელ სიყვარულს ყოველთვის უკავშირებდა ხალხთა მეგობრობის იდეას. თავისი ერის სიყვარულში იგი მუდამ სხვა ერისადმი პატივისცემასა და მოკრძალებას აქსოვდა; აკაკის აზრით, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი განუყოფელია ინტერნაციონალიზმისაგან: „შენი ერი უნდა გიყვარდეს, — ამბობდა პოეტი, — მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ“.

პოეტის ღრმა რწმენით, შოვინიზმი შეუთავსებელია ნამდვილ პატრიოტიზმთან. „შოვინისტობა, — წერდა პოეტი, — ე. ი. სამშობლოს უკეთესი სიყვარული, როცა იმას ანაცვალებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, სამაგლობაა“. ვინც თავის ერს არ ემსახურება, ის ვერც კაცობრიობას გამოადგება. თავის ქვეყნის სამსახურში, მსოფლიოც გამოიხატებაო.

ეს პროგრესული და ხალხურობით გამთბარი შეხედულება აკაკიმ მრავალჯერ გამოთქვა თავის პოეტურ შედევრებში. იგი წერდა:

„იმას არ ეთქმის „ადამიანი“,
ვინც აღიარებს მარტო თავის
ერს,
და სხვა ტომებს — კი ისე
შეჰყურებს
ჩასაულაპავად, როგორც
მტერი-მტერს“.

პოეტი აცხადებდა: „ღმერთმა ნუ დაგვიჩლუნგოს ისე გრძნობა-გონება, რომ რომელიმე ერი შევიძულოთ და მისი მტრობა გულში გავიზლოთ.“ იგი ალტაცებითა და ღრმა სიყვარულით წერდა:

„მხურს რომ ქვეყანა გულში
მივიკრა
და გახსნილი მაქვს ყველასთვის
გული!...
დაბადებიდან თან ჩამეხსა
„ძმობა“, „ერთობა“ და
„სიყვარული“.

აკაკი ხალხთა შორის ძმობის, მეგობრობისა და სიყვარულის დამყარებას უწმინდეს მოვლენად აღიარებდა, იგი მიაჩნდა ცხოვრების სიტკბოდ, თაფლად და მოუწოდებდა ყველას ამ კეთილშობილური გრძნობის განვითარებისა და დაფუძნებისათვის, მისი განხორციელებისათვის თავდადებას და, საჭირო შემთხვევაში, სიცოცხლის შეწირვასაც კი: ღრმად შთაგონებული მგოსანი ამბობს, რომ **„იხვე თაფლია ცხოვრებისათვის ძმობა, ერთობა და სიყვარული“.**

აკაკი ღრმა პატივისცემისა და ცარიზმისაგან სასტიკი დევნის მიუხედავად, აკაკი წერეთელი უშიშრად გამოდიოდა რუსი ხალხის საამაყო შვილების — კრილოვის, პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, ბელინსკის, ნეკრასოვის, დიდი უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოს, ცნობილი აზერბაიჯანელი კლასიკოსის მირზა-ფატალი ახუნდოვის, სომეხი ხალხის გამოჩენილი მწერლის გ. სუნდუკიანის და სხვათა სახალხო იუბილეებზე. ხშირად თვითონ იყო ხოლმე ამ იუბილეების ორგანიზატორი. აკაკის ყოველი გამოსვლა ხელს უწყობდა ხალხთა შორის დიადი სიყვარულის გრძნობით იყო გამსჭვალული რუსი ხალხისადმი, მისი უმდიდრესი, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურისა და მწერლობის, მისი რევოლუციური ტრადიციებისა და მომავლის ოპტიმისტური რწმენისადმი. და აცხადებდა: ჩვენ მართლა რომ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობასა და მეგობრობას რუსეთის ხალხებთან. მართალია. რუსებს შორის არიან ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი. მაგრამ სამაგიეროდ არის ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელახლა ჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული. არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომლებსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა.

პოეტი დიდი სიყვარულით იყო გამსჭვალული რუს რევოლუციურ-დემოკრატების-დმი, ინტიარებდა, მხარს უჭერდა და ხალხში ავრცელებდა ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და სხვათა პოლიტიკურ და ესთეტიკურ იდეალებს.

ღრმა ინტერნაციონალური გრძნობით არის შთაგონებული აკაკის წერილი, მიძღვნილი ლევ ტოლსტოისადმი. პოეტი წერდა: „რაღა გასაკვირალია, რომ ნამდვილმა გენიოსმა, რუსეთში წარმოშობილმა, გაითქვას სახელი და ცამდე აიყვანოს მისი დიდება! მე ვამბობ გრაფ ლევ ტოლსტოზე. მისმა დიდმა რომანებმა საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი მას, როგორც გენიოს ხელოვანს“.

აკაკის განსაკუთრებით მოსწონდა, რომ ლევ ტოლსტოი ქადაგებდა „ერთობას, თანასწორობასა და სიყვარულს“. ამასთანავე აკაკიმ აღნიშნა, რომ ტოლსტოიმ „მიიზიდა ყველა დაჩაგრულთა გული და გაიჩინა მიმდევრები არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიაც... რა საკვირველია, თუ ქართველებიც დღეს მას გულწრფელად იგლოვებენო“.

პოეტი ღრმად შთაგონებული იყო უკრაინელი ხალხის პროგრესული კულტურითა და სახელოვნო ტრადიციებით. აკაკი უკრაინის ზარი სტუმარი გახლდათ და უკრაინელი ხალხი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეგებებოდა ქართველ მგოსანს.

აკაკის ძლიერ უყვარდა ტ. შევჩენკო. იმდენად დიდი იყო მგოსნის ეს სიყვარული და გატაცება, რომ მის „ჯაბუკურ ოცნებას“, როგორც აკაკი აცხადებს, იგი მუდამ ეხატებოდა ბუმბერაზად, რომელსაც თავს ედგა დიდების შარავანდედი. „ვალიარებ, რომ მე, — წერდა მხცოვანი პოეტი, — პირველად მისი სიტყვებიდან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული.“

აკაკი წერეთელის გამოსვლას თბილისში ტარას შევჩენკოს დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე, ი. გრიშაშვილის გადმოცემით, აუდიტორია ფეხზე ამდგარი უსმენდა. უკრაინელები პარტერში მყოფ ქართველებს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. სიტყვის დამთავრების შემდეგ აკაკი შევჩენკოს ბიუსტთან მივიდა, მუხლი მოიყარა და პატივისცემის ნიშნად თავისი ჭაღარა თავი დაბარა მის წინაშე. ამას კვლავ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ქართველებსა და უკრაინელებზე და აღფრთოვანებულები თურმე ვეღარ იკავებდნენ სიყვარულისა და სიხარულის ცრემლებს.

აკაკი მაღალი პოეტური ხმით უმღეროდა ამერიკავკასიის ხალხთა მეგობრობას, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, ერთმანეთის სიყვარულის გრძნობას... პოეტს გულწრფელად უყვარდა სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი, ოსი და საერთოდ კავკასიის ხალხები. მოძმე სომხების შესახებ პოეტი წერდა: „ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ძმური განწყობილება ჰქონდათ“. და ურთიერთობის ამ კეთილი და მოკიდებულების ნიადაგზე არაერთგზის მორწყული სასომხეთის მდადმები მათ მომხრე და მათთვის თავდადებულ ქართველებისგან მოწამეთა სისხლითო. ეხება ანისისათვის ბრძოლას, ვინ მოსთვლის „ქირი რამდენი უნახავს ანისს ქალაქსა“...

გ. სუნდუკიანისადმი მიძღვნილ ლექსში აკაკიმ ჩააქსოვა ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური გრძნობები:

„შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთი მიდამოს და ერთი მთისა“

პოეტი უგალობდა სომეხ ხალხთან ძმურ, განუყოფელ და მტკიცე კავშირს, იგი წერდა: „მიყვარს და მსურს, რომ ჩვენს შორის ისეთივე განწყობილება იყოს, როგორც ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ, მინდა, რომ ამიერიდან მაინც ძმურად, ხელიხელჩაკიდებული, ერთის სწორის გზით მივდიოდეთ მომავლისაკენ“.

პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ცარიზმმა თავისი ბატონობის განსამტკიცებლად საზიზღარ ხერხს მიმართა — გააჩაღა ძმათამკვლელი ომები, ერთმანეთს წაუსისინა ამიერკავკასიის ხალხები. აკაკიმ გაბედულად შეუტია ძმათა მკვლელობას, დაგმო იგი და მოუწოდა ხალხებს ძმურად მიეცათ ერთმანეთისათვის ხელი და თამამად, ვაჟკაცურად დახვედროდნენ მტერს.

თავისი სამშობლოს ბედნიერება პოეტს ვერ წარმოედგინა მსოფლიო ხალხთა ბედნიერებისა და მეგობრობის გარეშე. მისი შემოქმედება შთაგონებულია მაღალი ინტერნაციონალური სულისკვეთებით:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე
არ შემიძლია მე განა?“

პოეტს შეჩვენების ღირსად მიაჩნდა ყველა, ვინც ხალხთა მეგობრობისა და სიყვარულის წმიდათაწმიდა იდეალს უღალატებდა:

„მთელ ქვეყანაზე და კაცთა
შორის
იყოს წყეული. ის იყოს კრული,
ვისაც არ სწამდეს და არ
უნდოდეს:
ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

ხალხთა მეგობრობის დიდი ტრუბადურის აკაკი წერეთლის სხივმოსილ მოღვაწეობას, მის გენიალურ პოეტურ შთაგონებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხთა შორის სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის დამყარების საქმეში. იგი დღესაც ძლიერად ეხმიანება ჩვენს დიად სოციალისტურ ეპოქას.

პროკლე კეკელიძე.

აკაკის ლექსი

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ მოღვაწის ყოველი გახსენება დღევანდელობის აუცილებლობით არის ნაკარნახევი. როცა დავით გურამიშვილის დღიებში თბილისის ქუჩებსა და მოედნებს ტრანსპარანტებად მოედო პოეტის მამხილებელი სტრიქონები, ერთბაშად ვიგრძენით, როგორ მახლობელი ყოფილა ჩვენთვის XVIII საუკუნის პოეტი. როდესაც დღეს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების მაჯისცემას ვაკვირდებით, მისი ოკეანურ ნაბიჯში ვართ, არაერთხელ გვიფიქრია ალბათ: როგორ გვჭირდება დღეს აკაკი, მისი ცეცხლოვანი ლექსი, მსუნაგი სატირა, ძირფესვიანად რომ წვავდა და ბუგბედა ყოველივე მავნეს და მალამოდ ედებოდა უსამართლობით დაჩაგრული კაცის გულს. მაშინ მე ხელოვნებაზედ არა ვფიქრობდიო, წერდა მოკრძალებით პოეტი, მხედველობაში მხოლოდ ისა მქონდა, ჩემს ნაწერებს დღიურ ავკარგიანობაზე გაიქრაო.

ხალხისათვის წერა იმთავითვე მოითხოვდა მკაცრი პოეტიკური კოდექსის შემუშავებას, პოეტის სიტყვა შეუფერხებლად უნდა მისულიყო მასის გულამდე. უსაფუძვლო არ ყოფილა ერთი იმდროინდელი საეკლესიო მოღვაწის შეშფოთება, აკაკის „საიდუმლო ბარათი“ თავისი სიადვილის გამო საშიშ მოგლენად რომ მიიჩნია: „ვაითუ მაგ შენს ენას მიეჩვიონო“. აკაკიმ თავის ენას მიაჩვია მკითხველი და თვით იმდროინდელი მწერლობა. მან დაასრულა ქართული ლექსის დემოკრატიზაციის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც თავის დროზე დავით გურამიშვილმა დაიწყო. გურამიშვილისეული აკაკის მოთქმაც ქვეყნის უბედურებაზე, რომელიც ორივე პოეტმა ლოცვა-ვედრების ფორმით გამოხატა: „ჩემი ხატია სამშობლო“ და „ეს სანთელივით უნდა ვიწვოდე, ვდნებოდე, რადგან „რაც არ ეწვის, არ ანათებსო“. მართალია, ზოგჯერ ვერ იკავებდა ცრემლს: „მე მივდივარ, შენც მიდიხარ, გეთხოვები საქართველო“, მაგრამ „განთიადის“ ავტორს თვალი მაინც „ცისკრის ვარსკვლავისკენ“ ეჭირა. ამან განსაზღვრა კიდეც მისი ლირიკის საერთო ხასიათი.

აკაკის პიროვნების წარმოდგენა უმალვე მისი ცოცხალი, გრაციოზული ლექსის გახსენებას იწვევს. იშვიათად თანხვდებიან ასე პოეტი და მისი ქმნილებანი. აკაკის უშუალობა და გულწრფელობა ხიბლავს და აჯადოებს მკითხველს. უდიდესი ტალანტია საჭირო, რომ პოეტური სიტყვაში, ლექსის მუსიკაში შენი თავი გაცხადო. აკაკი ამ ზეგარდმო ნიჭით მომადლებული ხელოვანი იყო. მან ნატიფი სახეებით და დახვეწილი მელოდიებით აღსავსე დიდი სამყარო შექმნა, სამყარო, რომელიც ერთნაირად ახლობელი და საყვარელი გახდა ყველასათვის. აკაკის ლექსმა ქვეყნის ყველა კუნჭული მოიარა, ყველას გულში ჩაიხედა, ყოველი სახლის ზღურბლს გადააბიჯა და კედელზე მიუყდებულ გიტარის სიმზე დაეკიდა.

...XIX საუკუნის საქართველო. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის შეერება-წვეულება. ვარინკა წერეთელი გიტარით ხელში: „სულიკო“, „ციცინათელა“, „შეგვეიერო, შენ გიტრფი“... და ოდის ყრუდ ნათქვამი, ნახევრად უმბრობით: სახლიკაცობა ნუ იქნება ქალბატონო.

აკაკის ლექსი თავად იწვევს კომპოზიტორს მუსიკის შესაქმნელად. სიმღერის ჰანგისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოქალე, შვიდ-რვამარცვლიანი სიტყვები, მოქნილი, ელასტიკური რიტმი, მდიდრული მუსიკალური რითმები, სტრიქონთა სასიამოვნო ჟღერადობა.

აკაკის არ უყვარს მყვირალა ალიტერაციები, მისი ლექსის ბგერწერული ფორმა ჩუმი და მოკრძალებულია, საგანგებო დაკვირვებაა საჭირო, რომ გაიგო, საიდან მოდის ეს სასიამოვნო ჰარმონია. ბგერწერას აკაკი ჩინებულად იყენებს აზრობრივი გამახვილებისათვის. „გამზრდელში“ საფარბეგის პიროვნების დამახასიათებელი სტიყვა პირშაობა „შ“ ბგერის ალიტერაციის წყალობით უფრო შთამბეჭდავი გახდა: „საფარბეგო, პირშაობა, შენი ვიცი, შემტყვია“. ევფონიით დამშვენებული აკაკის ლექსის რიტმი ქმნის ერთიან მელოდიას, რომელიც წმინდად აკაკისებურია.

აკაკი პირველივე ლექსებით ხიტყვის ოსტატად მოგვევლინა, მაგრამ მისი პოეტური ხელოვნება ერთ სიმაღლეზე არ გაჩერებულა, ნელ-ნელა იცვლებოდა, ახალ თვისებებს იძენდა. ევოლუციური მსვლელობის ეს დინჯი პროცესი 80-იან წლებში შემოქმედებითს გარდატეხამდე მივიდა, ლექსი განთავისუფლდა ჭარბი პუბლიცისტურობისაგან, დაიხვეწა რიტმულად და ევფონიურად. სწორედ ამ დროს აკაკის შემოქმედებითს ლაბორატორიაში დიდი წარმატებით დაგვირგვინდა ხალხური და ლიტერატურული ლექსის შეჯავრების რთული პროცესი. დიდია აკაკის დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე. მან ერთგვარი დასკვნითი სიტყვა თქვა ჩვენი ლექსთწყობის განვითარების მთელს ისტორიაზე.

ახალი ლიტერატურული თაობა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში იწყებდა მოღვაწეობას, ბუნებრივია, აკაკის ზეგავლენას ვერ ასცდებოდა. შეიქმნა მომბაძველთა სკოლა. იმეორებდნენ აკაკის მოტივებს, მხატვრულ სახეებს, ლექსის რიტმსა და მელოდიას. გავლენის რკალი თანდათან ფართოვდებოდა. თვით გალაკტიონ ტაბიძის თაობა, „ცისფერყანწელთა“, ლიდერების ჩათვლით, აკაკის ქნარის ფრთებქვეშ მომწიფდა და ჩამოყალიბდა. ახლა თაობებმა აკაკის ვერსიფიკაციაში სიახლის ყლორტები დაინახეს, რაც გამოიყენეს კიდეც მომავალი სალექსო რეფორმისათვის.

საოცარია აკაკის ლექსი, გარეგნულად ძალზე სადა და უბრალო, არ ხმაურობს, არ გაკვირვებს, არ ბრწყინავს თვალისმომჭრელი საღებავებით. ცალკეულ ნაწილებად რომ დაშალო, განსაკუთრებულს ვერაფერს ნახავ. მისი ძალა და ღირსება მთლიანობაა. არის კიდევ ერთი გარემოება, რასაც თავად აკაკიმ „ულერის საიდუმლო“ უწოდა. იგი არ ექვემდებარება განსჯას და მისი ცხების ენაზე გადატანა შეუძლებელია. კარგად თქვა ნიკო ნიკოლაძემ: „რასაც მე, სერგი მესხი და გიორგი წერეთელი გრძელ-გრძელი წერილებით ძლივს გამოვთქვამდით, ანდა სულაც ვერ გამოვთქვამდით იმდროინდელი ცენზურის პირობებში, იმას აკაკის ჩანგი სიმის ერთი ჩამოკვრით აძგერებდა და აანთებდა მთელი ხალხის გულში“.

აკაკის ლექსი ზეიმობს.

როგორც თვალნათლეული ბიჭუნა ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე სულმოუთქმელად ჩაათავებს „პოეტის“ სტრიქონებს, ანდა როცა მწუხარებით გარინდებულებს რეკვიემივით ჩაგვესმის: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“, ეს აკაკის ლექსის ზეიმია.

აკაკის ლექსი ზეიმობდა, როცა სამშობლოს განძით უკანდაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილი თავის ქვეყანას მიმართავდა: „სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემიყარეო“.

აკაკის ლექსის ზეიმი იყო, როცა ტექსელზე აჯანყებულმა ქართველმა მებრძოლმა მკერდზე „განთიადის“ მთელი სტროფი ამოიტვიფრა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-
ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის
მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო“:

დღესაც აკაკის ლექსის ზეიმია.

აკაკი ხინთიბიძე.

სიმეგი ჩვენ ვართ ყველაო...

„მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მასხურებდეს, განამტკიცოს აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ახურებდეს“.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსის აკაკი წერეთლის დაბადების 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმობა დაიწყო მგოსნის მშობლიურ საჩხერეში, სხვიტორში, სავანეში.

დღეს მადლიერი შთამომავალნი უსაზღვრო სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად პატივს მიაგებენ დიდი მგოსნის ხსოვნას. ამ წმიდა გრძნობებმა შეაყარა საჩხერის რაიონში გამართულ ზეიმობაზე ქართველი მწერლები, საქართველოს ყველა კუთხის მშრომელები. ამ გრძნობამ მოიყვანა აქ მეგობრობის გზებით მოსკოვიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულნი.

აკაკის უკვდავი ქნარის უსაზღვრო სიყვარულით იყო განმსჭვალული პარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივნის ე. ჩიხლაძის, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის გ. აბაშიძის, სხვა იმათგანის გამოსვლები, ვინც ამ დღეს აქ მოვიდა, რათა მუხლი მოედრიკა ჭეშმარიტად სახალხო პოეტის ხსოვნის წინაშე.

სულმნათი მგოსნის უკვდავი ლექსი გაისმოდა მის ძეგლთან, გაისმოდა საბჭოეთის ხალხთა ათობით ენაზე და მსმენელს აჯადოებდა.

მხოლოდ ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტსა და ჰუმანისტს შეიძლებოდა აღმოხდენოდა: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა“.

სწორედ მეგობრობისა და ძმობის ეს გრძნობები

მარგალიტების მაძიებელი

ალბანეთის ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბანეთის ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრალური ფრაგმენტები

„...რაც ადამიანისათვის, კერძო პირისათვის სარკეა, ის მთელი ხალხისა და საზოგადოებისათვისაც თეატრია, რომ ქვეყანამ შიგ ჩაიხედოს, თავისი როგორც ნაკლი, ისე ღირსებაც დაინახოს და გასწორდეს. თეატრი ისევე სკოლაა ხალხისათვის, მომხიბლავი, გამასწორებელი და არა უბრალო „სასაცილო რამ საფუნდრუკო! გაანათლებულ ქვეყნებში სწორედ ამ აზრით მართავენ თეატრს და ნაყოფიც კეთილი მოაქვს“. — აკაკი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“, 1910 Წ.

ᲐᲛᲐᲡᲕᲔ ამბობდა პოეტი ადრეც: 1902 წელს „ოვერიაში“ იგი წერდა, რომ სცენა სარკე უნდა იყოს, ცხოვრების ავ-კარგის უტყუარად მაჩვენებელი და ამავ დროს ხალხის გამწვრთნელი უმაღლესი სკოლაცო; ხოლო მსახიობის შესახებ თქმული მისი სიტყვები ოქროს ასოებით უნდა იყოს ამოტვიფული თეატრებში:

„აქტიორი იგივე მოძღვარია ხალხისა. ის არის მწერლის თანაშემწე, მოკარნახე. მწერლის სურათებს ის ახორციელებს და ერთად თავმოყრილს ხალხს ცოცხლად და ნათლად გადასცემს“.

ხოლო მოსაზრება ხელოვნებაზე, საოცრად თანადროულად ჟღერს დღესაც: „ხელოვნებას არა აქვს საკუთრება, საზღვარი“, „ის ყოველ ხალხს ეკუთვნის“.

...ფურცლა-ფურცლა მაქვს გადაშლილი „ოვერიისა“ და „დროების“ ეს ფერნაცვალი კომპლექტები, საიდანაც აბრეშუმის ძაფივით ამოვახვიე აკაკის თეატრალური ნაზრევი. ხშირად, ძალიან ხშირად ბეჭდავდა პოეტი ქართული თეატრის შესახებ რეცენზიებს, მიმოხილვებს, თეორიულ წერილებს, საბენეფისო მილოცვებსა თუ მოგონებებს. იშვიათია მაგალითი პოეტისა და თეატრის ასეთი დანათესავებისა და დამოყვრებისა! იგი ხომ სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული მშობლიურ თეატრთან, გამზრდელივით დიდი ამაგი და სიყვარული ჩააქსოვა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს. ერთგულების სახომად მიანიჭა პირველთაგანი მსახიობი ქალის ეფრო კლდიაშვილის. მაკო საფარავა, ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას უანგარო თეატრალური ღვაწლი და არ სწამდა ისინი, ვინც სასხვათაშორისოდ უყურებდა ქართულ სცენას და ადვილად ცვლიდა უკეთეს საშოვარზე.

პოეტმა იცოდა, რომ ზოგი სცენისადმი გულაყრის გასამართლებლად დრამატურგიის უქონლობას, ანუ პიესების სიმცირეს იმიზეზებდა.

...პიესები სადა გვაქვსო?

„ვისაც გული უშლის, ის ვერც ამას ნახავს და ვერ გაიგნებს რა მიზეზია, რომ უკრაინელებს სულ ათი თუ ოცი პიესა აქვთ, ისიც გადმოკეთებული, მეტი არა, და ამდენი ხანი იოლად მიდიან: თითო პიესას წელიწადში ოც-ოცჯერ ადგენენ და ხალხი სიამოვნებით ესწრება და ჩვენები კი გვარწმუნებენ, რომ ქართველი კაცი ერთხელ წასულს პიესას მეორეთ აღარ ნახავსო! ეს დიდი ტყუილია! ხელოვნება ისეთი რამეა, რომ ვისაც ის ხიბლავს, მისგან მოხიბლული კი არ გაყრის, პირიქით, სცდილობს რომ ხშირად ადევნოს თვალყური და ინეტაროს“...

დიდ-პატარა როლებზეც თავისი მტკიცე მოსაზრება ჰქონდა პოეტს: „პირველ როლებს ყველანი ეტანებიან. „აქაო კარგი როლია“ და გამოიტანს ჩვენ უნიჭო თამაშსო? ავიწყდებათ, რომ უნიჭო აქტიორისთვის ყველა როლი მიუწვდომელია, დიდიცა და პატარაც, და ნიჭიერისათვის კი სულ ერთია: დიდშიდაც და პატარაშიაც გამოიჩენს ღირსებას“.

ეს აზრი აკაკის არაერთხელ გამოუთქვამს დაბეჯითებით და ამაში იგი სავსებით ორიგინალურია, არავის იმეორებს! (დიდ-პატარა როლების განურჩევლობა სტანისლავსკის სისტემის ერთ-ერთი მცენებაც გახდება!).

აკაკი ხშირად წერდა ქართული დრამატურგიის ავკარგიანობაზე, ძრახავდა ნათარგმნ დეკადენტურ პიესებს და დრამისმკეთებლობას.

იმ დროს, როცა აკაკისათვის და ილიასათვის თეატრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი. ბრძოლის ერთ-ერთი სათმედო ასპარეზი, დედაენის შენარჩუნების, უმთავრესი სატკივრის სახალხოდ გამოტანისა და გამოთქმის საშუალება იყო, ცხადია, ქართული სინამდვილიდან თუ წარსულიდან აღებულ ამბებზე შექმნილი პიესები უფრო ხვდებოდა მიზანში; ამიტომ აკაკი გადაჭრით მოითხოვდა პიესების გადათვალიერებას, — რაც სასარგებლო არ არის, გამოიგავოს რეპერტუარიდან, ენაც გასწორდესო.

პოეტს გულით უყვარდა თეატრი და როდესაც 1903 წელს ქართული თეატრის გამგეობამ რეჟისორად მიიწვია, გახარებულმა თავისებური, საინტერესო ტრაქტატი ჩამოაყალიბა და გააცნო დასს, ბოლოს კი თავდადებისა და ერთგულების წილ ფიცივით აღუთქვა:

„თქვენ დამანახვეთ ერთგულება, მხნეობა და გამრჯელობა ქართულ თეატრისადმი და მე გიჩვენებთ მაგალითს მისის სიყვარულისას“.

საინტერესო შეპირისპირებები აქვს აკაკის მსახიობის ხელოვნების ავკარგიანობის გასარჩევად: მას ეკუთვნის გამოთქმები „დედანი“ და „ეპიპო“, „ვითომ მარგალიტი“ და „წმინდა წყლის მარგალიტი“.

...ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მისთვის წმინდა წყლის ერთ-ერთი მარგალიტი, ანუ ობოლი მარგალიტი მაკო საფაროვა-აბაშიძისა იყო!

ახლა კი ერთი თეატრალური ეპიზოდის შესახებ.

1890 წელს საქართველოში საგასტროლოდ ჩამოვიდა ცნობილი იტალიელი ტრაგიკოსი ერნესტო როსი, შექსპირის გმირების უბადლო განმასახიერებელი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დიდი თეატრალური მოვლენა იქნებოდა ეს ოთხმოცდაათიანი წლების თბილისისათვის. საკადრისადაც შეხვედრია ქართული საზოგადოებრიობა სტუმარს და პატივისცემად ვახშამიც გაუმართავს მისთვის. ეს საღამო უკვდავჰყო აკაკიმ.

„დღეს სასიამოვნო და შემდეგშიც სანატრელო სტუმარო, ბატონო როსისი! — ქართულად, გულითადად მიმართავს სტუმარს აკაკი, — მხოლოდ სტიქიურ მოვლენებს შეუძლიან აგრძნობინოს უხმოუსიტყვოდ ქვეყანას თავისი საკუთარი ძალა და იმავ დროსვე მოგონოს ყოველის შემოქმედის ძლიერებაც. ერთ ამგვარ ძალთაგან ხარ დღეს შენც მოვლენილი, რადგანაც უსიტყვოდ (უკაცრავად, თუმცა უსიტყვოდ კი არა, მაგრამ ჩვენთვის სწორედ რომ უსიტყვოდ, რადგანაც შენი ენა არ გვესმის), მხოლოდ სახის გამომეტყველებითა და გარეგანის მიმოხვრით გვაგრძნობინე შენი ძალა და თანვე შეგვასმინე შექსპირის შემოქმედებითი ძლიერებაც“.

სიტყვის მგოსანმა შეუჭო სცენის მგოსანს მეფე ლირი, მაკბეტი, ჰამლეტი, ნერონი, რომეო, რომელნაც დასძინა (ალბათ ღიმილით): „შენვე გაგვაცანი, მაგრამ რას ვამბობ?! უკაცრავად! კი არ გაგვაცანი, მოგვაგონე ჩვენი საკუთარი „რომეოება“, ჩვენი სეშაბუკი!.. შენი სახე და სახელი ამიერიდან ჩვენი გულის ფიცარზე აღიბეჭდებაო.

„ოცნებით ვკითხე შექსპირის
აჩრდილს:
„შენ ხარ მთავარი, მგოსანთ
უფროსი,
მაგრამ ვერ მივწვდით შენს
მაღალ აზრებს
და ვინ აგვიხსნის? —
„ერნესტო როსსი!“
ესევე ვკითხე ხელოვნებასაც:
წარსულთა დროთა, ანუ ამ
დროსი
ვინ მიგაჩნია უკეთეს
მოძღვრად? —
მანაც მომიგო: „ერნესტო
როსსი!..“ და ა. შ.

ასეთი ეპსპრომტით შეხვდა მგოსანი იტალიელ მსახიობს.

ნანა ღვინეფაძე.

საიუბილეოდ გამოვიდა

140 „კომუნისტის“ პუბლიკაცია



აღმოჩენილია აკაკის უნიკალური ფოტოები

პოეტის სახე სიცოცხლეში და მისი დაკრძალვის კადრები აღბეჭდილია ფირზე, რომელიც სამშობლოს 65 წლის შემდეგ დაუბრუნდა.



რედაქციის საქმიანობაში მოულოდნელობებს რა გამოლევს. წინასწარ დაგეგმილი ნომერი, უცებ შეიძლება მთლიანად შეიცვალოს. ასე მოხდა ამჯერადაც: გუშინ, სულმნათი პოეტის იუბილესადმი მიძღვნილ გვერდში მკითხველისათვის სიურპრიზი, უნიკალური საჩუქარი შემოგვთავაზა ჩვენმა ცნობილმა მწერალმა, დრამატურგმა და კინორეჟისორმა რეზო თაბუკაშვილმა. ეჭვგარეშეა, მის შესანიშნავ შემოქმედებას ყველა კარგად იცნობთ. ამ შემოქმედების მთავარ განმსაზღვრელ თემად შეიძლება ჩაითვალოს მისივე ერთერთი ფილმის სათაური „კვალი ნათელი“. ბოლო წლებში ხომ რ. თაბუკაშვილი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ჩვენი თანამემამულეების მართლაც ნათელ კვალს დაჰყვება, დაეძებს და მათ სახელსა და საქმიანობას გვისხიერებს. ამ დაუდგრომელი შეუპოვარი მოგზაურობებითა და ძიებებით შეიქმნა მისი სცენარი „ქართველები ნიდერლანდში“, ამას მიემატა კინოდილოგია „ქართველები იტალიაში“, რომლის სცენარიც და უკვე რეჟისურაც თაბუკაშვილს ეკუთვნოდა და რომელიც სულ მალე ტრილოგიის ფორმას მიიღებს — მას მესამე ფილმი მიემატება. ეს იქნება ორნოველიანი დოკუმენტური სურათი, რომლის გადაღების პროცესში იტალიასა და საფრანგეთში, **ახლახან რეზო თაბუკაშვილმა ქართული კულტურის ისტორიისათვის ფასდაუდებელ მასალებს მიაკვლია და თან ჩამოიტანა საქართველოში.**

ამ სახიათოვნო აღმოჩენის თაობაზე ჩვენ დაწვრილებით მოგითხრობთ უახლოეს ხანში. ახლა კი, მცირე ექსკურსის შემდეგ, რ. თაბუკაშვილის მიერ აკაკი წერეთლის იუბილესათვის ძოვნად შემოთავაზებული სიურპრიზიც ვნახოთ. ძვირფასო მკითხველო, იმ უნიკალურ მასალებთან ერთად მწერალმა პარიზიდან ჩამოიტანა 45 ფოტონეგატივი, რომლებიც აკაკი წერეთლის დაკრძალვის მომენტებს ასახავს. ეს ნეგატივები ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის უმცროსი ძმის — კონსტანტინეს შვილიშვილის — ნათელა ნიკოლაძის ოჯახში აღმოჩნდა, რომელიც ამჟამად ბელგიაში ცხოვრობს. მისი თქმით ნეგატივები დღემდე არ დაბეჭდილა.

და აი, 65 წლის წინათ გადაღებული ნეგატივები ფოტოებად იქცა.

... წუთით მოვიხედოთ უკან, იმ ეროვნული გლოვის დღეებს ავედევნოთ. ერთმანეთს ცვლიან ფოტოები: სამგლოვიარო მატნგი სხვიტორში, შემდეგ თბილისის საქალაქო საბჭოს წინ — მოედანზე, შემდეგ თბილისის აღმართს მიუყვება პროცესია, აი მატნგი მთაწმინდაზე...

რედაქცია მხოლოდ ოთხ მათგანს სთავაზობს მკითხველს. ვფიქრობთ, ყველაზე შთამბეჭდავი მომენტები სწორედ მათზეა ასახული. ერთზე ძვირფასი ნეშტის სხვიტორიდან თბილისს ვაგზალზე ჩამოსვენებას ვხედავთ, მეორე მგოლვიარე პროცესიას გაგვაყოლებს და აი, საფლავი მთაწმინდაზე... შეუძლებელია არ გაგახსენდეთ: „შენს მიწას მიმაბარეო“.

და ბოლოს, ყველაზე მეტად ამაღელვებელი ფოტო, რომელსაც თავში ვბეჭდავთ და რომელიც მის ხელმძღვანელ ავტორს პოეტის სიცოცხლეში გადაუღია.

ეს, ეტყობა, უკანასკნელი წლებია. აკაკი ეტლში ადია, მის სამშობლო მხარესავით წმინდა და სპეტაკი, ერის და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი, დაღლილი და ოდნავ ნაღვლიანი, მაგრამ თითქოს იმაშიც დარწმუნებული, რომ მის საერო და საქვეყნო ამაგს ხელიხელ საგოგმანებლად გაიხდიან თაობები.

„ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო...
„ვერ ავიტანე ობლობა,
სიხლნის ცრემლები ვღვარეო,
წამალია სულმა და გულმა
შენს ნახვას დავეჩქარეო.
„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი
ხელახლად გამიხარეო...
„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!.
„ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის
მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო!..

გლეხთა ქომაგი

უკანასკნელი წლები პოეტმა გლეხებთან, თავის მყუდრო სხვიტორში გაატარა. საიდან არ ჩამოდიოდნენ ავადმყოფი აკაკის სანახავად. მათთან სჯა-ბაასი, შეხვედრები, ჩემთვის მთელი სიცოცხლე იყოო, ამბობდა პოეტი.

აკაკის პირველი დამტირებელნი, პირველი ჭირისუფლებიც ხომ მისი საყვარელი გლეხები იყვნენ. მათ საჩხერის სადგურამდე მიაცილეს მგოსანი და მდუღარე ცრემლებით გამოეთხოვნენ მას.

გლეხებთან ჰუმანური ურთიერთდამოკიდებულ ე ბ ი ს შესახებ გთავაზობთ ჩვენ მიერ მიკვლეულ უცნობ წერილს ფილიპე მახარაძისადმი, რომლის ავტორი გახლავთ აკაკის მოურავი — კოტე აბდუშელიშვილი — კაცი, თავისი სამშობლოს ფანატიკური ტრფიალი, ხალხის ქომაგი, მათი ჭირისა და ლხინის მოზიარე და, რაც მთავარია, აკაკის უახლოესი ადამიანი.

● ●

„აკაკის დიდი სურვილი იყო, — წერს იგი, — სხვიტორში, სახლში, სადაც დაიბადა და გაიზარდა (და სადაც განუტევა სული მგოსანმა), გახსნილიყო აგრონომიული სასწავლებელი გლეხების შვილებისათვის. ამის სისრულეში მოყვანა დამევალა მე და ორ დიდ ორგანიზაციას, წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას. მეექვსე წელიწადია, რაც მგოსანი გარდაიცვალა.

ყოველ ჩემს ენერგიას და ძალას ვხმარობდი, რომ მისი სურვილი სისრულეში მომეყვანა. მივმართე ამ ორგანიზაციებს სიტყვიერად, წერილობით, გაზეთის საშუალებითაც, მაგრამ ვერაფერს გავხდი. უკანასკნელად, როცა მითხრეს, მგოსნის დანატოვარი საკმარისი არ არის მაგ ნება-სურვილის სისრულეში მოსაყვანათო, ჩვენ კი, საშუალება არა გვაქვს დავეხმაროთო, ამიტომ ვერ ვახერხებთ სასწავლებლის გახსნასო, მაშინ მე შევთავაზე, უთხარი, რომ მგოსნის დანატოვარზე მეტი შეიძლება მე მაქვს და მზად გახლავართ დავუმატო, მით უმეტეს მე და ჩემი მეუღლე, როგორც უშვილონი, დიდად დაინტერესებული ვართ, ჩვენი სათაყვანებელი აკაკის სურვილი განვახორციელოთ მეთქი.

ამ შემთხვევაში ნამდვილად დიდი გულგრილობა გამოიჩინა საქართველოს ინტელიგენციამ. მაშინ, როცა მგოსნის კუბოზე ათასგვარ აღთქმას სდებდნენ და ყოველგვარ დახმარებას მპირდებოდნენ. მგოსნის დასაფლავების შემდეგ ეს ყოველივე მიყუჩდა, დიდხანს ვუვლიდი მგოსნის დანატოვარ სახლებს და აკაკის საყვარელ ძვირფას გამზრდელ დას, ღრმად მოხუცებულ ანა წერეთელს, რომელიც ამ ორი თვის წინეთ გარდაიცვალა 90 წლის ჰასაკში და როგორც შეეფერებოდა მგოსნის დას, ისე ვემსახურე. დვასაფლავე მგოსნის აღმზრდელი და, დიდი ხარჯი დამჭირდა, მაგრამ ეს ყველაფერი მე ვიკისრე. თუმცა ყოფილმა მმართველობამ შემომთავაზა დახმარება, მაგრამ იმდენად მცირედი იყო იგი, რომ წმინდა სანთელსაც არ ეყოფოდა“.

წერილი მთავრდება მთავრობისადმი მიმართვით: „მგოსნის დანატოვარი უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც დღემდე ჩემს ხელში გახლავთ და რომელსაც ვუვლით უკეთ როგორც მგოსნის სიცოცხლეში ვუვლიდი, გთხოვთ ჩაიბაროთ“.

წერილი ადრესატისადმი გაგზავნილია 1921-ში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს.

აკაკის გლეხებთან სიახლოვისა და ურთიერთობის შესახებ საინტერესოა მეორე უცნობი დოკუმენტიც, — თედორე კიკვაძის პატარა მოგონება.

თედორე კიკვაძე, 900-იანი წლების ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწე და მწერალი, აკაკის მეგობარი იყო. იგი თვით აკაკიმ გადმოიყვანა ღოღობერიძეების შავი ქვის კანტორიდან თავის ჟურნალ „კრებულში“. თ. კიკვაძე დიდად ეხმარებოდა ხანდაზმულ მგოსანს სამეურნეო საქმეების მოგვარებაში, დაჰყვებოდა სხვიტორსა და საჩხერეში.

„ბევრი მემამულე და ბატონი მინახავს, მაგრამ აკაკისთანა მებატონე ნამდვილად არსად შემხვედრიაო“, — წერს თ. კიკვაძე.

„აკაკის ცხრა კომლი ვალდებული გლეხი ჰყავდა სოფელ კორბოულში (ზემო იმერეთი). გლეხებს კანონით დატოვებული ჰქონდათ თავის დროებით სარგებლობაში მინის ჩამონაჭერი, იმ პირობით, რომ მათ ნაჭერზე გაყიდვის უფლება ენიჭებოდათ, მაგრამ გამოსყიდვამდე კი ღალა უნდა ეძლიათ მემამულისათვის“.

სოფლის კვალობაზე ეს გლეხობა შეძლებული ყოფილა, მაგრამ ვალდებულებას მაინც არ ასრულებდნენ, თურმე და არც არავინ აიძულებდა დიდი გაჭირვების მიუხედავად, რომელშიც ხშირად მინახავს აკაკიო, — განაგრძობს კიკვაძე. — „ის არ ფიქრობდა ამ გლეხების გაწვრთნაზე, ხშირად წლები ისე გავიდოდა, რომ ღალას არ გადაახდევინებდა.

მახსოვს, 1899 წელს აკაკი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, მას როგორც არ უნდა დაჯდომოდა, სასწრაფოდ ცოლშვილისათვის ხარკოვში უნდა გადაეგზავნა 200 მანეთი. აკაკი ფულზე ხელმოკლედ იყო, სად უნდა ეშოვა ამოდენა ფული და ისიც საჩქაროთ.

საგონებელში ჩავარდნილ მგოსანს მეგობრებმა ურჩიეთ, სოფელში ჩამონაჭერი მიწები გაეყიდა. იმ წელს მკაცრი ზამთარი იყო, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა ვერ ითმენდა. აკაკის გაგზავნილი კაცები დაიძრნენ საჩხერესაკენ. გლეხებს ეგონათ, რომ აკაკის გაგზავნილი რწმუნებულნი ძველი გადაუხდელი ღალის ასაკრეფად ჩამოვიდნენ, მოიბოდიშეს, თავი დამნაშავედ აღიარეს და ძალიან გაუკვირდათ, როცა გაიგეს, რომ ბატონის ეს განზრახვა კი არ იყო მათი ჩამოსვლის მიზეზი, არამედ ჩამონაჭერი მიწების საკუთრად შესყიდვა.

დილას აკაკიც გამოჩნდა. მგოსნის საპატივცემლოდ გლეხის ოჯახში გამართულ სუფრაზე — მაშინ როცა ჩვეულების მიხედვით მებატონეები სუფრაზე არ სვამდნენ გლეხებს, აკაკიმ გვერდით მოისვა გლეხები და დაუწყო მათ თავისი მდგომარეობის გამოკითხვა, თუ ვის რა უჭირდა. უცებ აკაკიმ ყურადღება მიაქცია კარებში მდგარ შავებში ჩაცმულ სანდომიან სახის ახალგაზრდა მანდილოსანს.

აკაკი წამოდგა. მივიდა ქალთან და ჰკითხა, თუ რა იყო მისი ჩამოსვლის მიზეზი.

— მე ბატონო ქვრივი ვარ, ჩამონაჭერ მიწის შესყიდვა მინდა და უჩვენა მეზობელ გლეხებზე — მეც ამათ წამოვყეივიო.

— ქვრივი თუ ხარ, რა საშუალებით ახერხებ ჩამონაჭერ მიწის შესყიდვას? — ჰკითხა ქალს აკაკიმ.

— ამისათვის ბატონო ერთი ძროხა და ხარი ჩამოვიყვანე, უნდა გავყიდო, აბა, რა ვქნა, ჩამონაჭერ მიწაზე ხელს ხომ არ ავილებო!

აკაკი შეკრთა, შეწუხდა...

— კარგი, — სთქვა მან — ეგ ძროხა და ეგ ხარიც შენ გყავდეს, ნუ გაყიდი, შენს ობლებს მოახმარე, ჩამონაჭერ მიწას მე უსასყიდლოდ გიბოძებო.

მოულოდნელი სიხარულისაგან ახალგაზრდა ქალი მადლობის სათქმელად ფეხქვეშ ჩაუვარდა მგოსანს.

აკაკიმ თავი უხერხულად იგრძნო და მანდილოსანი საჩქაროდ ფეხზე ნამოაყენა“.

პოეტის კეთილშობილებისა და კარგი ადამიანობის შესახებ არაერთი მოგონება შემორჩენილა ხალხში. გლეხკაცობის განთავისუფლების წინამორბედი, მათთვის მებრძოლი პოეტი ამიტომაც დარჩა ერის უსაყვარლეს მგოსნად.

ნინო ჩიხლაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მომავლის იმედიანი სათავე

წერაქვს დაუბრუნდნენ ბავშვები

ძებნა არ დაუწყოთ, საქართველოს რუკაზე. ამ სოფელს ვერ იპოვით, აი სასკოლო სახელმძღვანელოში კი წერია, რომ დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი საეკუნის წინ დაიბადა წერაქვში, დაწყებითი განათლებაც აქ მიიღო.

სად არის წერაქვი? — გეტყვით: მარნეულის რაიონული ცენტრიდან სამხრეთისაკენ უნდა აიღოთ გეზი. გვერდით — შაუმიანი, მერე ოფრეთისაკენ გასწევთ და საქართველოს და სომხეთის სამანებთან, მთებში, ხელისგულივით გადაგეშლებათ ტყისპირას ჩახატული, ძველი კოშკით, ეკლესია-მონასტრით შემკული სოფელი.

წერაქველებს რომ ვკითხე, საიდან, რატომ შეარქვეს სოფელს ეს სახელი მეთქი, ერთმა მითხრა: აქ წერაქვით უმტვრიეთ და უშენებიათ კაცთა სადგომი და მიტმაო, მეორემ: — ღმერთს აქაურ მკვიდრთათვის უბრძანებია — წერეთ ქვითაო.

ქვით ნაწერსა და მართლა იშვიათ წარწერას კიდევაც იხილავთ ბაზილიკაზე. მეთორმეტე საუკუნეში აუგიათ იგი. სამასწლიანის მერე კი. ზაზა ციციშვილ-ფანასკერტელს, კარაბადინის ავტორს, შეუკეთებია და განუახლებია მტერთაგან იავარქმნილი.

ამ ორი წლის წინათ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტები, მეცნიერ-თანამშრომლები ანუ ძეგლის მეგობარი რაზმის წევრები მოვიდნენ აქ. გზად ბირთვისის ციხე, არსენას წყარო და გორდას გამოქვაბული გამოვლეს. გაჭრეს გზა ტბისის სამონასტრო კომპლექსამდე, ააგეს ბოგირი, გაწმინდეს შიგა და მიმდებარე ტერიტორია, მთის კალთაზე რამდენიმე ასეული საფეხური გაამაგრეს, ხევში გადაყ რ ი ლ ი ეკლესიის თლილი ქვები ამოიტანეს, გაასუფთავეს და ადგილი მიუჩინეს. ამის მერე იყო წერაქვის ორნავიან ბაზილიკას რომ მიადგნენ და იხილეს ჩაქცეულ-გაპერანგებული, ჯაგებით სავსე, სუროთი და ფითრით შეპეპული.

სოფელში ავარდნენ სასაყვედურო: წელიწადში ერთი დღეც რომ გემუშავათ წინაპართა სადღეგრძელოდ, ასე არ ჩაიქცეოდა ყოველივე.

ბოსლის საშენებლად როგორ გაიმეტეთო ისტორიული ძეგლის ქვები.

ახლა ის ბოსელი გაუქმებული იდგა, აღარ სჭირდებოდა სოფელს — არა ჰყავდა ცხვარ-ძროხა იმდენი. ან რა უნდა ჰყოლოდა სამოც კომლს, ისიც უმეტესად მოუხცებს? არც სკოლა, არც მაღაზია, სამედიცინო პუნქტი ან სხვა რამ... ერთადერთი წყარო მოწანწყარებდა ხევში. იქ თუ მოიყრიდა თავს ქალ-რძალი სოფლისა. გიორგი ანტონიძე ტელეფონით ვერ დარეკავდა მარნეულში, ფეხით უნდა ჩასულიყო — სამივე შეილი სკოლაში იქა სწავლობდა. გვიან მარტო გიორგი, ყველანი ამ დღეს იყვნენ: რაიმე ცნობისთვის ოფრეთის სასოფლო საბჭოში გარბოდნენ, სამუშაოდ კიდევ შაუმიანის მეურნეობაში.

თანდათან აიკრეს სკოლის ძალიებელმა მშობლებმა ... ნაბადი, ზოგმა რუსთაველ ... შურა, ზოგმა თბილისს...

ძეგლის მეგობარი რაზმების წევრები რომ მოვიდნენ, იმ დღეს იმედი აციაგდა წერაქვში.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსმა, პროფესორმა ი. ციციშვილმა წერილობით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და განათლების სამინისტროს სოფელ წერაქვში სკოლის აღდგენის თაობაზე. განათლების მინისტრმა ო. ქინქლაძემ პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებს აღუთქვა:

— ხუთ მოსწავლეს მაინც თუ შეკრებთ, სოფელში სკოლას გავხსნით!

სულაც ჩემი ხუთი შვილით ჩავსახლდები წერაქვშიო, — თქვა მაშინ ინსტიტუტის ლექტორმა ვანო თვალავაძემ.

თუ გული გულობსო, ხომ გაგიგონიათ? მალე განათლების სამინისტროში წერაქვიდან სია მოვიდა: გიორგი ქუეუნაშვილი, ლალი ცხადიაშვილი, გიორგი ბურნაძე, ეკა ბესტავაშვილი, თამარ ბესტავაშვილი. ზუსტად ხუთი წერაქველი, მომლოდინე ხუთი ბავშვი!.. ეს იმას ნიშნავდა, რომ სოფელში კვლავ აწყრიალდებოდა სკოლის ზარი. მაგრამ მასწავლებელი?!

განათლების სამინისტროში გაანწილების საგზურს რომ იღებდა, მოულოდნელად დააბრუნა ფიზიკელი. უცხო ენათა ინსტიტუტის ერსდამთავრებულმა გოგონამ.

— ქარელში კი მივდიოდი ... ბგრამ თუ მენდობით, ... ოაქვალ ... ორკელ ... ზარი ... ბავშვებს ჩანთებთან ერთად ... ლებიც მოჰქონდათ, როგორც სხვაგან, დიდ სოფლებში ხდება ხოლმე. კედელზე ეკიდა მიხეილ ჯავახიშვილის პორტრეტი, ... რული ანბანის სამწერალი ... ნუსხა. დროული კაცები სკოლ ... ეზოში, ლოდებზე ჩამომსხდარ ... ყვნენ. არ მალავდნენ ცრემლ ... ოსენას მიწაზე დაბერებულ ... ბი... სოფლის სახარული მაინ ... უნდა გენახათ, როცა მეორე თ ... მესამე კვირას თბილისიდან მ ... სწავლებლის დედა — ექიმი ვ ... ნერა ადამია ჩამოვიდა. წერა ... ვის ზოგი მოსახლე ჯანს არ უ ... იოდა, მაგრამ მაინც ყველა გაუ ... ინჯა ექიმს.

წინაპართა მამულში დაბრუნებული საბა ბესტავაშვილი მას ... წავლებელთან ისე მიდის, თით ... ქოს რაღაც დიდ, საოცარ იმედ ... უახლოვდებაო და ფიქრებს ა ... დობს: მეფრინველეობის ფერმა ... გავწვდებითო, ქალ-რძალთათვი ... ხელის საქსოვი დაზგები ვითხო ... ვოთ, ტელეანტენაც თუ დავდ ... გით, მაშინ ვნახოთ წასულები ... მობრუნებაო... ერთად მსჯელ ... ობენ ვის მიმართონ, ვინ შეა ... წუხონ, რომ იმატოს განახლ ... ებულმა, გაღვივებულმა ღველფ ... მა სოფელ წერაქვის კერაზ ... იმედად ეგულებათ პოლიტექ ... იკური ინსტიტუტის მეცნიერ ... თანამშრომლები, საქართველო ... გიორგი ლეონიძის სახელობ ... ლიტერატურის მუზეუმი, გან ... ლების სამინისტრო, პირველ ... დახმარება ხომ ამათგან მიიღ ... იმედად ეგულებათ რესპუბლიკ ... ხელმძღვანელობა, რომელიც ... ზრუნავს ნასოფლართა აღდგ ... ნისათვის და ყველა, ვისაც ... სწამს, რომ სოფელი ქვეყნ ... დედაა და მისი გულის გაცი ... ვება, მისი მომლა არ იქნება, ... შეიძლება.

რაკიღა ბავშვები დადიან სოფ ... ლის სკოლაში, რაკი ჰყავთ მ ... სწავლებელი, სიცოცხლე და მ ... მავალი დაუბრუნდა ჩვენს ... რაქვსო, — ამბობენ აქაურ ... დაუბრუნდა, როგორც ახლ ... ჭერემს...

დიახ, სასიკეთო ცვლილებ ... ხდება რესპუბლიკის რუკაზ ... აღარ დაყრუვდება ეს მთები, ... თობები და საყანეები. ვაზს ეყ ... ლები პატრონი, ტყეს მონადა ... რე და გაიხარებს ბუხარი ... ზამთარს წერაქვში. თუმცა ... რაქვს ჯერ კიდევ ბევრი ... სჭირდება. მასწავლებელი ... ხუთი ბავშვი, რამდენიმე მ ... რუნებული მოსახლე ჯერჯერ ... ით ეგ არის მხოლოდ მომავ ... დიდი იმედიანი სათავე.

ლიანა მიქაძე

ხურათზე: მასწავლებელი გ ... აბრამია თავის აღსაზრდელებთან.
ს. კეჩხუაშვილის ფოტო.

ყაბალი

როცა სპორტულ სარბიელზე ორი გუნდი გამოდის ერთმანეთის პირისპირ, რა რანგის შეჯიბრებაც უნდა იყოს, ბრძოლა წარმატებისათვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის პრინციპული და უშეღავათოა... და მისი შედეგის პროგნოზი, ჩვეულებრივ ძნელად განსაჭვრეტია. ისეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში, როცა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პროგრამით გათვალისწინებულ მატჩში წარმატებისთვის ბრძოლაზე მიდგება ხოლმე ჯერი, სასურველი შედეგის მოპოვებისთვის მეტოქეები, გასაგებია, პოტენციურ შესაძლებლობათა რაც შეიძლება სრულ გამოვლენას ცდილობენ. ერთი სიტყვით, ორივე მხარე თამაშში ოსტატობის მაქსიმუმის გამომჟღავნებისათვის თავდაუზოგავად იბრძოლებს. მაგრამ ამ დონეზე ხელბურთში დღევანდელი შეხვედრის შედეგი ისე უნდა დაიგეგმოს როგორც ამ წერილის სათაურშია.

ასეთი შესავალის აუცილებლობა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩის შედეგით თბილისელთათვის შექმნილმა არასახარბიელო სიტუაციამ გვიკარნახა. შეგახსენებთ, თბილისელებმა ეს მატჩი მადრიდში გამართეს და წაგეს ანგარიშით 21:30. ვინ გაიკაფავს გზას მეოთხედფინალისაკენ, დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრის შედეგმა უნდა გაარკვიოს. შეგახსენებთ იმასაც, რომ თბილისელებმა მადრიდში მატჩის თითქმის მთელი პირველი ტაიმი (უფრო ზუსტად 27-ე წუთამდე) უპირატესობით წარმართეს და ორი ბურთის სხვაობითაც იყვნენ დაწინაურებული. ამის შემდეგ სტუმრების დაცვაში შეცდომებმა იჩინა თავი, ამასთან ერთად ესპანელებმა შეძლეს ანპილოგოვ-გასის საიერიშო მოქმედებათა დამუხრუჭება, და ადგილობრივ გუნდმატკივართა თავგამოდებული მხარდაჭერით წაქეზებულმა მასპინძლებმა შეძლეს თამაშში ჩარხის შეტრიალება...

მაშ ასე, ესპანელები თბილისში განმეორებით მატჩს 9-ბურთიანი ფორით იწყებენ და თუ რა ძნელი ამოცანის წინაშე დგანან მასპინძლები, ამის თაობაზე ლაპარაკი შეიძლება ზედმეტიც იყოს. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ თბილისელი ხელბურთელები წინათაც ყოფილან ამგვარ სიტუაციაში და თითქოსდა დაუძლეველი ზღუდეც გადაუსახავთ. ასე მოხდა 1964 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე როცა იუგოსლავიის „მედვეშჩაკთან“ 8 ბურთის სხვაობით გაგებული მატჩის შემდეგ „ბურევესტნიკმა“ თბილისში განმეორებითი შეხვედრა ასეთივე სხვაობით მოიგო. ეს კია, მაშინ ფორტუნამ, ანუ კენჭისყრამ ჩეხოსლოვაკიელი მსაჯის პარდუბსკის მიერ გათამაშებულმა მონეტამ— გამარჯვების სასწორი სტუმართა მხარეს გადახარა. სწორედ ახლაა გასახსენებელი ის მატჩი. შეხვედრის დამსწრეთ არ შეიძლება არ ახსოვდეთ, თუ რა დიდი მორალური და მებრძოლური თვისებები გამოავლინეს მაშინ თბილელთა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩის შედეგით თბილისელთათვის შექმნილმა არასახარბიელო სიტუაციამ გვიკარნახა. შეგახსენებთ, თბილისელებმა ეს მატჩი მადრიდში გამართეს და წაგეს ანგარიშით 21:30. ვინ გაიკაფავს გზას მეოთხედფინალისაკენ, დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრის შედეგმა უნდა გაარკვიოს. შეგახსენებთ იმასაც, რომ თბილისელებმა მადრიდში მატჩის თითქმის მთელი პირველი ტაიმი (უფრო ზუსტად 27-ე წუთამდე) უპირატესობით წარმართეს და ორი ბურთის სხვაობითაც იყვნენ დაწინაურებული. ამის შემდეგ სტუმრების დაცვაში შეცდომებმა იჩინა თავი, ამასთან ერთად ესპანელებმა შეძლეს ანპილოგოვ-გასის საიერიშო მოქმედებათა დამუხრუჭება, და ადგილობრივ გუნდმატკივართა თავგამოდებული მხარდაჭერით წაქეზებულმა მასპინძლებმა შეძლეს თამაშში ჩარხის შეტრიალება...

მაშ ასე, ესპანელები თბილისში განმეორებით მატჩს 9-ბურთიანი ფორით იწყებენ და თუ რა ძნელი ამოცანის წინაშე დგანან მასპინძლები, ამის თაობაზე ლაპარაკი შეიძლება ზედმეტიც იყოს. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ თბილისელი ხელბურთელები წინათაც ყოფილან ამგვარ სიტუაციაში და თითქოსდა დაუძლეველი ზღუდეც გადაუსახავთ. ასე მოხდა 1964 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე როცა იუგოსლავიის „მედვეშჩაკთან“ 8 ბურთის სხვაობით გაგებული მატჩის შემდეგ „ბურევესტნიკმა“ თბილისში განმეორებითი შეხვედრა ასეთივე სხვაობით მოიგო. ეს კია, მაშინ ფორტუნამ, ანუ კენჭისყრამ ჩეხოსლოვაკიელი მსაჯის პარდუბსკის მიერ გათამაშებულმა მონეტამ— გამარჯვების სასწორი სტუმართა მხარეს გადახარა. სწორედ ახლაა გასახსენებელი ის მატჩი. შეხვედრის დამსწრეთ არ შეიძლება არ ახსოვდეთ, თუ რა დიდი მორალური და მებრძოლური თვისებები გამოავლინეს მაშინ თბილელთა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩის შედეგით თბილისელთათვის შექმნილმა არასახარბიელო სიტუაციამ გვიკარნახა. შეგახსენებთ, თბილისელებმა ეს მატჩი მადრიდში გამართეს და წაგეს ანგარიშით 21:30. ვინ გაიკაფავს გზას მეოთხედფინალისაკენ, დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრის შედეგმა უნდა გაარკვიოს. შეგახსენებთ იმასაც, რომ თბილისელებმა მადრიდში მატჩის თითქმის მთელი პირველი ტაიმი (უფრო ზუსტად 27-ე წუთამდე) უპირატესობით წარმართეს და ორი ბურთის სხვაობითაც იყვნენ დაწინაურებული. ამის შემდეგ სტუმრების დაცვაში შეცდომებმა იჩინა თავი, ამასთან ერთად ესპანელებმა შეძლეს ანპილოგოვ-გასის საიერიშო მოქმედებათა დამუხრუჭება, და ადგილობრივ გუნდმატკივართა თავგამოდებული მხარდაჭერით წაქეზებულმა მასპინძლებმა შეძლეს თამაშში ჩარხის შეტრიალება...

მაშ ასე, ესპანელები თბილისში განმეორებით მატჩს 9-ბურთიანი ფორით იწყებენ და თუ რა ძნელი ამოცანის წინაშე დგანან მასპინძლები, ამის თაობაზე ლაპარაკი შეიძლება ზედმეტიც იყოს. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ თბილისელი ხელბურთელები წინათაც ყოფილან ამგვარ სიტუაციაში და თითქოსდა დაუძლეველი ზღუდეც გადაუსახავთ. ასე მოხდა 1964 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე როცა იუგოსლავიის „მედვეშჩაკთან“ 8 ბურთის სხვაობით გაგებული მატჩის შემდეგ „ბურევესტნიკმა“ თბილისში განმეორებითი შეხვედრა ასეთივე სხვაობით მოიგო. ეს კია, მაშინ ფორტუნამ, ანუ კენჭისყრამ ჩეხოსლოვაკიელი მსაჯის პარდუბსკის მიერ გათამაშებულმა მონეტამ— გამარჯვების სასწორი სტუმართა მხარეს გადახარა. სწორედ ახლაა გასახსენებელი ის მატჩი. შეხვედრის დამსწრეთ არ შეიძლება არ ახსოვდეთ, თუ რა დიდი მორალური და მებრძოლური თვისებები გამოავლინეს მაშინ

ამოცანა: 9 + 1,
რომლის გადაჭრაც ფესაძლებელია

სასიხარულო ცნობა ლენინგრადიდან

გუშინ ლენინგრადში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. მასპინძლებმა პირველი ტაიმი მოიგეს 12 ქულის სხვაობით (48:36). ლენინგრადელები კიდევ დიდხანს ფლობდნენ უპირატესობას. უფრო მეტიც, მატჩის ბოლო წუთებისთვის მასპინძლები 16 ქულით იყვნენ დაწინაურებული. სწორედ ბოლო წუთებში თბილისელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და სანუკვარი გამარჯვება მოიპოვეს ძლიერ მეტოქესთან — 81:76.



ტაშკენტი, ტაშკენტელები და მიწისძვრა

11 დეკემბერს, საღამოს, ტაშკენტში მომხდარი მიწისძვრის უმალვე საკადესის კორესპონდენტი ე. ტაუბენშლაგი დაუკავშირდა ქალაქის სამსახურებს.

პასუხი ერთნაირი იყო:

— არავითარი საგანგებო შემთხვევა არ მომხდარა. ყველგან წესრიგია.

არც ერთ სახლში სინათლე არ ჩამქრალა, არ შეწყვეტილა წყლის, გათბობისა და გაზის მიწოდება. ხოლო მეტროს სადგურებში იმ წამს (20 საათსა და 35 წუთზე ადგილობრივი დროით) მგზავრებს, რომლებსაც შორეული გუგუნი მოესმათ, მოეჩვენ ა თ, თითქოს სადგურს მატარებლები უახლოვდებოდა. მართლაც, მატარებლები მალე ზუსტად გრაფიკის მიხედვით მოვიდა. რა თქმა უნდა, ექვსბალიანი ბიგი უბრალო ამბავი არ არის. და როდესაც თქვენს ბინაში წკრიალებს ჭურჭელი, ხტის სკამები, ზოგან ბათქაშიც ჩამოცვივა, შეუძლებელია არ შეგეშინდეს. მაგრამ განგაშისა და პანიკის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. მთელი დატვირთვით მუშაობდნენ ტაშკენტის ავტომატური სატელეფონო სადგურები: ყველა ურეკავდა ნათესავებს და მეგობრებს: „რა ამბავია ჩილანზარში? იუნუსაბ